F26² №556
218

წელიწადი პირველი
ფასი 7 კაპ.
კვირა, 1 ნოემბერი 1915 წ.
№ 132

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] 25 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело" Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

კვირას, 1 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი

პავლე ალექსის ძე
კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდამწვარი მშობლები განსვენებულისა, დები, ძმები და სიძეები

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო" გადაეცა კანტორა „განათლებას". თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას".

„საქართველოს" რედაქცია.

ამერიკული ვაზი

ი. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის ამერიკული ვაზის რქა და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის ფესვიანი ძირები; აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. შ. [illegible]

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მიხე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს **სადოქტარო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

კბილის ექიმი

ნინო [illegible]

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ფრაგმანტიზმი და მისი დამღუპველი შედეგი

დღევანდელი ქართველი ინტელიგენტის დამახასიათებელი უბედურება მისი ფსიხიკის ფრაგმანტიულ მიდრეკილებაშია. მისი გონების თვალი პარტიულს ჰხედავს, კერძოს ამჩნევს. ზოგადი და საერთო მისი ხედვის ფარგლის გარეშე რჩება. ასეთივეა დღევანდელი ინტელიგენტის გრძნობაც. იგი გრძნობს კუთხეობრივს, ჯგუფობრივს, სექტურს. საზიარო და საყოველთაო სულისკვეთება უცნობია ქართველის გრძნობისთვის. გონებაცა და გრძნობაც განვითარების დაბალ საფეხურზე დგას, ორივე საცოდავი მეწვრილმანეა. არც ერთსა და არც მეორეს არ აქვს აღმაფრენა, გაშლილობა, არ შესწევს ძლიერება დაბალ ზღუდეების გადალახვისა, რომ სათანადო სიმაღლე დაიჭიროს და იქიდან დახედოს ჩვენს ქვეყანას, მის ნაირ-ნაირ საჭიროების შემოქმედი სინტეზი მოახდინოს, შეიმუშაოს ერთი ზოგადი ეროვნული მხედველობა, ერთი ზოგადი საზომი და ყოველი ჩვენი კერძო მოვლენის დასაფასებლად იხმაროს საერთო ეროვნული სარგებლობისა და ინტერესის თვალსაზრისი. დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი ან კარგი, (იგულისხმე სექტანტი) სოციალ-დემოკრატია ან კარგი სოციალისტ-ფედერალისტი ან კიდევ კარგი, „ემაფუტისტი", ხოლო არც ერთი არ არის კარგი **ქართველი.** დაკარგულია გრძნობა, გამქრალია შემეცნება და თვით ხასიათიც **ქართველობისა.** საქართველო და სრულიად ქართული როგორც შეცნობილი პსიხოლოგიური სინამდვილე აღარ არსებობს დღევანდელი ქართველი ინტელიგენტის გულსა და გონებაში. პარტიკულიარიზმი, ფრაგმანტიზმი—თვისებაა ჩვენი დროის ქართველისა და აქედან წარმომდინარებს მთელი რიგი უბედურება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა საბედისწერო განსაცდელისკენ მიჰყავს. ამ მოვლენას თავისი ისტორიული და პსიხოლოგიური მიზეზები აქვს, რომელთა აღნუსხვა ჩვენს საგანს არ შეადგენს.

ყოველი საკითხი, რომელსაც წამოაყენებს ქართული სინამდვილე, განხილულია ფრაგანტიულად და არა ორგანიულს კავშირში იმ ერთ მთლიან საკითხთან, რომელსაც ეროვნული საკითხი ეწოდების. ცხოვრების მიმდინარეობა წამოაყენებს თუ არა საკითხს, მაგ. იმ ახალქალაქის მაზრის საკითხს, რომელიც უკუნიდან ქართველობის აკვანი და საფლავი ყოფილა, რომელიც საქართველოს საზღვრებში შედის და სიმტკიცის ბჭეა ჩვენი დედა-ქალაქის თბილისისათვის, დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი უხეირო შვილის უდარდელობით იტყვის, ის სომხებისაა და საქართველოს გეოგრაფიულ რუქიდან უნდა ამოიშალოსო. ამ შემთხვევაში ქართველ ინტელიგენტს მხოლოდ დღის დღის ახალ-ქალაქის მაზრა უდგას თვალწინ; მას ეხშობა ყოველგვარი ისტორიული პერსპექტივა ეკეტება კარები ხედვისა მომავლისაკენ; მის აზრსა და სიტყვებს ეროვნული სინტეზი არ აცხოველებს, **საქართველოს** შემეცნება არა სწვავს; საქართველო ერთია და ახალქალაქი კიდევ მეორე. ან უკეთ ამ წუთას მისთვის საქართველო არც კი არის, არამედ მარტო ახალქალაქია. არ ებადება ხალისი იმ პროცესის ისტორიული გამოძიებისა რომელმაც შექმნა დღევანდელი ვითარება. და პედანტურად, ვითომც ქვეყანაზედ ყველაზედ ჭკვიანია, გადმოიძახებს, ქარის წისქვილებს არ ვებრძვი, სინამდვილე ასეთია და მეც გონივრულად ამას ვადასტურებო. ისტორიულ (sic!) საქართველოს გამოდევნება, გულუბრყვილო რომანტიკოსების საქმეაო! სინამდვილე ისაა, რომ ამგვარი ვაჟბატონებში ჩახშულია გრძნობა საქართველოს [illegible]—დიადობისა, რომ მათში ჩამქრალია ეროვნული იდეალი. სიმართლე ისაა რომ ისინი ახალქალაქში საქართველოს საკითხს ვერ ხედავენ, და საქართველოში კიდევა ახალქალაქებს [illegible]. და ეს იმიტომ რომ საქართველო მათთვის არ არსებობს როგორც [illegible] მთლიანი სათუთი ორგანიზმი. ეს არის ჩვენი დროის უბედურება და ბოროტება, რომელიც ხელს გვიშლის აშკარად, გაბედულად, რადაც დაგვიჯდეს, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა! დაისმება თუ არა საკითხი ახალციხის, ბორჩალოს, თბილისის მაზრებისა და თვით ქალაქ თბილისის შესახებ, დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი იტყვის: ის ამისაა, ეს—იმისა, ჩვენ რა ხელი გვაქვს. სინამდვილე ასეთია და ჩვენც მას ვადასტურებთ. ამას მოითხოვს ჰუმანიური პრინციპი კაცთმოყვარეობისა და რეალური მოსახლეობისა... სინამდვილეს ადასტურებს!!. მომსვლელს წინააღმდეგობა არ გაუწიოს და როდესაც ნელ-ნელა ფეხი მოიკიდოს და ტერიტორია დაიმკვიდროს, მაშინ მიბრძანდი და სინამდვილე დაუდასტურე მაღალი პრინციპის გულისათვის! თავდაცვის ნაცვლად—თვითგანადგურება და თვით-ჭამიობის პრინციპი—აი რა გზას ადგია ჩვენში და რას ქადაგებს ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც ჩვენმა შეუგნებლობამ და უილბალობამ ხელში ჩაუგდო ქვეყნის მესვეურობა! მაგრამ ამ წესით და გზით ხომ შეიძლება მთელი სამკვიდრებელი ფეხიდან გამოგვეცალოს, დაგვეკარგოს ერთიანად და გადავშენდეთ!

დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი, ყმა ფრაგმანტული პსიხიკისა, განთვითებულად ცალ-ცალკე, კერძო-კერძოდ უყურებს ყოველ დასახელებულ მაზრას თუ ქალაქს და არა სამშობლოს ერთეულში, მას უყურებს არა როგორც ორგანიულ ნაწილს ერთი მთელისას, რომელიც უამნაწილებოდ სასიკვდილოდ დაიჭრება.

ქართველ კაცში მძლეთა მძლედ ვერ ამეტყველებულა **საქართველო** როგორც პსიხოლოგიური სიმნამდვილე, **საქართველო** როგორც კატეგორიული ბრძანება ქართველი კაცის მთელი სულიერი ენერგიისა. აქ მარხია ჩვენი სისუსტე, ამაშია ჩვენი უძლურების ფესვი და ეროვნული შემოქმედების უბადრუკობა! ამას უნდა შეგნება. საქართველო **დღეს** ყოველის დამტევ მცნებად უნდა გარდაექცეს ქართველ კაცს, თვით-კმარ ღირებულებად და მაშინ, მხოლოდ მაშინ დაიწყება ღონიერი პროცესი ყოველმხრივი ეროვნული შემოკრეფა-მობილიზაციისა. ჩვენი **ხსნა** ამ პარტიკულიარიზმისა და **ფრაგმანტიზმის** დაძლევაშია და მის **ნაცვლად** ეროვნული ზოგადოებისა ცნება-**საქართველოს** აღდგენაში.

ჩვენი **ტერიტორიის** ყოველ მტკაველში მთელი საქართველოს სახეს უნდა ვხედვიდეთ და მთელს საქართველოში კიდევა—ყოველ ერთ მტკაველის მოხაზულობას. საქართველო განუკვეთელი ერთარსებაა. ასე ყოფილა, ასე უნდა იყოს დღესაც და ხვალეც მერმეც უნდა იქნეს.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბულგართა დამარცხება.

კრივოლაკთან ფრანგებს ბულგართა სასტიკი იერიშები მოუგერებიათ. შემდეგ კონტრ-იერიშით შეუტევიათ და [illegible] დაუკავებიათ. ბულგართ, ამბობენ, დიდი ზარალი მოსვლიათ, 3,000 კაცამდე დაუკარგიათო. სერბები ბაბუნთან მაგრდებიან.

მაინც კრიტიკული მდგომარეობა.

ვიდრე მოკავშირენი უსკიუბს არ დაიბრუნებენ, მანამდე სერბელთა მდგომარეობა კრიტიკული დარჩება. ჯერჯერობით ბალკანეთის მდგომარეობა ფრიად სერიოზულია.

იტალიის აღთქმანი.

ამბობენ, იტალიამ სერბებს აღუთქვა ჯარებით დახმარებას გაგიწევო. ამ მოკლე ხანში აღთქმის თანახმად მათი ჯარები შავმთით შევლენ სერბეთში.

ბულგარეთის ცრემლები.

ბულგარეთის მხრით რადოსლავოვი ნიანგის ცრემლებსა ჰღვრის: „ბულგარეთის მთავრობა გულწრფელადა სწუხს, რომ ჩვენსა და რუსეთის შუა ურთ-ერთის საპასუხო რევორვერი გავარდა. რუსეთი ამ ბოლო დროს სულ ერთიანად შეიცვალა. იმის ნაცვლად, რომ ბულგარეთისთვის კეთილი ესურვებინათ და მათი ინტერესები გაეგოთ, მოჰყვნენ მტრობასა და შუღლის თესვას, მასთან ბულგარებს გზას გვილობავდნენ ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებაშიო. ბულგარეთი დიდი ხანია [illegible] თავდაცვის პოლიტიკას დასდგომოდა, რათა რუსეთის დეზი აეცილებინა. ახლა თვითეულ ბულგარს იმაზე მეტი აღარა დარჩენია რა, რომ სამშობლოს წინაშე მოიხადოს თავის მოვალეობა და დაიცვას იგი, რითაც კი ძალუძს.

მოკავშირენი ბალკანეთში.

28 ოქტომბრამდე მოკავშირეებს სალონიკში გადმოუსხავთ 70 ათასი ჯარისკაცი. აქედან 50 ათასი ფრანგი ყოფილა. ამ ჟამად სალონიკის სადგურში ამზადებენ ასი ათას ჯარისკაცის სადგომს. აღსანიშნავია, რომ მოკავშირენი ახლა საკუთარ სატელეგრაფო მავთულებს აბამენ, რათა საბერძნეთის დამოუკიდებლივ მიაწოდონ ომის ამბების ნამდვილი სურათი.

ქალები გერმანიის რკინის გზაზე.

პრუსიის გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ პრუსიის რკინის გზაზე ქალებსაც შეუძლიანთ ღამის სამსახურის გაწევა, ვინც კი აქამდე გამოიცადა და სამსახურს შეეჩვია.

[illegible] იერიშები.

გერმანელები დაჟინებით სცდილობენ დაკარგულ პოზიციების დაბრუნებას შამპანში. აუწერელ მსხვერპლსა სწირავენ, შეუწყვეტელი იერიშები მიაქვთ, მაგრამ დღემდე მხოლოდ რამოდენიმე თხრილი დაიბრუნეს და ტაპიურიდან ვერ განდევნეს ფრანგები.

მაშველი ჯარები.

როგორც ათინიდან იტყობინებიან, ფრანგებს ველესი დაუჭერიათ. ინგლისელებს მაშველი ჯარები მოსვლიათ და დოირანის აღმოსავლეთის რაიონი დაუჭერიათ. ამ ჟამად სტრუმიცასაკენ მიდიანო. სერბები პრიშტინის მახლობლად მაგრდებიან... ბერლინის გაზეთებში სამხედრო მიმომხილველნი ამბობენ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს გადაუწყვეტია ბალკანეთში 300 ათასიან ლაშქარს მოუყარონ თავი.

ვენიზელოსის პარტია.

„Times"-ის კორესპონდენტი ათინიდან იუწყებიან: ვენიზელოსისტები, უეჭველია, მომავალი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ მთავრობისადმი პროტესტის გამოსახატებლადაო.

ვილჰელმის აღთქმანი.

ზაიმის კაბინეტის დათხოვნას გულგრილად შეხვდნენ ბერლინის პოლიტიკოსებიო. სულ ერთია, ვილჰელმს ისეთი აღთქმანი აქვს დადებული საბერძნეთთან, რომ მაინც ვერას გახდებიანო. ახალი არჩევნები შორეულ ვადით იმიტომ დაინიშნა, რომ დრო მოიგონო. ვენიზელოსის სრულიად მოსწყვიტოს მთავრობის წრეს. მეფე კონსტანტინეს ზურგი გამაგრებული აქვს გენერალურ შტაბით და სრული ბატონ-პატრონია საბერძნეთისა.

ენვერფაშა და ჟეკოვი.

ბულგარეთის ჯარების უფროსს ენვერფაშა ტელეგრამით გამოეხმაურა. ჟეკომა უპასუხა: ღრმად დარწმუნებული ვარ ბულგართა ჯარების უძლეველობაში, თუ კი გერმანელთა და ოსმალთა დახმარება არ მოგვაკლდებაო. საზოგადო ძალით მალე დავთრგუნავთ ჩვენს საზოგადო მტრებს და ბულგარეთსაც აუხდება თავისი ეროვნული ზრახვანიო.

იმედების გაცრუება.

მოკავშირეთა დიპლომატიას დიდი იმედები ჰქონდათ—საბერძნეთში რევოლიუცია დაიწყება, თუ კიდევ მინისტრთა კრიზისი მოხდაო. ამ უკანასკნელმა არ დაახანა, კრიზისი მოხდა, მაგრამ ამას არავითარი რევოლიუცია არ გამოუწვევია. ბერძენთა ოფიცრები მშვიდად შეეგებნენ ამ ამბავს, ზოგს გაუხარდათ კიდეც. მეფისადმი ლოიალურ განწყობილებაში არიან.

რუმინეთის პოზიცია.

ბალკანეთში მდგომარეობის გართულებისა გამო რუმინეთი იძულებული ხდება ნეიტრალობა დაიცვას, ამისათვის გერმანეთი ჰპირდება ტერიტორიის გავრცელებას იმის და მიხედვით, თუ რაოდენად გადიდდება ბულგარეთიო.

საბერძნეთის პოზიცია.

„რუს. ვედ." ატყობინებენ, კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობების თანახმად საბერძნეთის მდგომარეობა ფრიად წააგავს ბულგარეთისას ომის დაწყების ხანებში. საბერძნეთში მრავალი გერმანელი აფიცრობა მოდის თურმე.

სოფიაში.

ბულგართა ხომალდს „ბორისს" დაჭრილები მიჰყავს ვილინში. სოფიაში სასწავლებლები და თეატრის შენობები ლაზარეთებად გადაუკეთებიათ.

ზავის მოლოდინში.

გერმანთა დიპლომატები შვეიცარიაში ხმას ავრცელებენ ზავის შეკრის დრო ახლოვდებაო. ამბობენ, ვილსონი და პაპი გამოვლენ საზავო წინადადებითაო. ბიულოვს დავალებული ჰქონია ესპანეთიც შუამავალთა რიცხვში ჩაურიონ.

რუსეთის პოლონეთის მთლიანობა.

გერმანიის მთავრობამ გააუქმა რუსის მთავრობის კანონი ხოლმშჩინის შესახებ და ხოლმი ისევ პოლონეთის შემადგენლობაში ჩარიცხონ. „მთელს ქვეყნიერებას ანიჭებთ თავისუფლებას და ამიტომაც, რომ პირველ საკითხთა რიგში რუსეთის პოლონეთის მთლიანობის აღდგენა იქნებაო".

კავკასიის ასპარეზი შავი ზღვის მიმართულებით.

22 და 23 ღვინობისთვეს მოწინავე რაზმთ შეტაკება უხდებოდათ. სანაპირო ადგილებში ოსმალთ სწადდათ ჩვენი სრულიად ამოხოცვა, მაგრამ უკუ ვაგდებდით. უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში ოსმალთ 12-ჯერ მოიტანეს მძაფრი იერიში, იერიში მოჰქონდათ მათ ღამით ან ღრუბლიან დილით. მეტად საყურადღებო იყო იერიში 9 ღვინობისთვისა, ამ დღეს მტერი დიდის იმედით ეკვეთა ჩვენს ლაშქარს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიგერიეთ. 9 ღვინობისთვის იერიშზე ოსმალნი ჰლამობდნენ აგრეთვე ჩვენთვის უკან დასახევი გზა მოეჭრათ, მაგრამ ჩვენ საკმაოდ მაგრად დავხვდით და იერიშით მომავალნი ოსმალნი გავაქციეთ.

ოლთისის მიმართულებით.

[illegible] რაიონში ჩვეულებრივ შეტაკებანი ხდებოდა. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

საფრანგეთის წვრილმანები

სამხედრო ცენზურა.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის კომისიამ განიხილა ბ-ნ პოლ მენიეს მოხსენება ომიანობის დროის წინასწარი ცენზურის შესახებ. კომისიამ დაადგინა წინასწარი ცენზურა შეეხოს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო და სადიპლომატიო ცნობებს. (Figaro)

სახსოვრის დიპლომები.

ლანდის დეპუტატის, დეირისის წინადადებით, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რ. პუანკარემ მთავრობასთან შეთანხმებით, გადასწყვიტა სახსოვრის დიპლომები დაურიგოს იმ ოჯახებს, რომელი წევრიც შეეწირა სამშობლოს თავდაცვამ. (Figaro)

საექიმო მისია.

ფრანგთა საექიმო მისია, რომელიც შესდგებოდა ასამდე ექიმ-ოფიცრებისაგან, და რომელიც გასულ თებერვლიდან სერბეთში ებრძოდა სერბების ჯარის გამანადგურებელ სენსა და უმწეობასა, აღნიშნავს თავის უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობას და მოითხოვს ფრანგის საზოგადოებისაგან შველას და დახმარებას.

საშინელი აფეთქება.

პარიზის ერთ დიდ ქუჩაზე ტოლბიაკზე აფეთქდა და სულ ერთიანად განადგურდა სამხედრო მასალის დასამზადებლად გაშენებული ქარხანა, სადაც მუშაობდა ორასამდე ქალი და კაცი. ასაფეთქებელი მასალით გატენილი ყუთი მუშებს ხელიდან გავარდნიათ და ერთი ჯოჯოხეთი დატრიალდა. არაფერი დარჩენილა ამ ქარხნის საგანი. აუარებელი ხალხი მოზღვავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უბედურების ადგილზე. დაუყონებლივ მოვიდა პარიზის პრეფექტი, საფრანგეთის პრეზიდენტი და შინაგანი საქმეთა მინისტრი.

საფრანგეთის პრესა.

ფრანგთა აკადემიის წევრი ალფრედ კაპუსი გაზეთ „Figaro-ში“ ეხება საფრანგეთის მთავრობასა და სამინისტროს, ანსხვავებს ამ ორ ცნებას და სწერს: მთავრობის მოქმედებას თითქოს დამბლა დაეცაო, რაც ბალკანეთის კრიზისი ასე მოულოდნელად აღიმართა მის წინაშე და ბატონი დელკასეც გავიდა სამინისტროდან. საზოგადოებრივ აზრს რომ ვინმე შეეკითხებოდეს, გაიგებს რომ იგი მზადაა სამინისტროს მოსთხოვოს დაუყოვნებლივ მთავრობად გადაიქცეს, ვინაიდგან ეს ორი მცნება, რომელიც იდანტიური უნდა იყოს, უხსოვარ დროიდან ერთი მეორეს დაშორდა და შეიძლება სწორედ აქ იყოს ჩამარხული ღრმა მიზეზი ჩვენი რეჟიმის სხვა და სხვა ნაირი ნაკლისა.

ბრძოლის ველზე

გასულ კვირის განმავლობაში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც ცვლილება შეეტანოს რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის ხაზის მიმართულებაში. აქა-იქ, ხან შლოკისა და ბაბიტის ტბის რაიონში, ხან იაკობშტადტ-დვინსკის რაიონში და ხან კიდევ ჩარტორისკ-რაფალოვკას რაიონში ამ კვირის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მწვავე ბრძოლებს, რომელიც ადგილობრივ ფარგალს არ გასცილებია. რაც შეეხება გერმანეთ-რუსეთის ბრძოლის პირის სამხრეთის უკიდურეს წვერს, გალიციას, აქ გასულ კვირის განმავლობაში ბრძოლის შესახებ ცნობები არ მოსულა.

ყველაზე მეტი მნიშვნელობა წმიდა სტრატეგიულის შედეგებით მიეკუთვნება იმ ბრძოლას, რომელიც ჩარტორისკის-რაფალოვკას რაიონში სწარმოებს და რომელმაც ამ უკანასკნელ სამ-ოთხ დღის განმავლობაში ფრიად მკაცრი ხასიათი მიიღო. აქ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც გამარჯვებულს კიევისაკენ გზა გაეხსნება. ალ-ბად ამ მიზნით აჯგუფებენ გერმანელები თავიანთ ჯარებს ჩარტორისკის რაიონში. რიგა-დვინსკის რაიონში სტრატეგიულ უძრაობის შემდეგ, შესაძლებელია გერმანეთის გენერალური შტაბი აქ შეეცადოს თავის სამხედრო ძალებს გასავალი მოუპოვოს. შესაძლებელია ისიც, რომ აქ თვალის ასახვევ დემონსტრაციას ჩადიოდეს რომ რუსეთის მთავარი ყურადღება აქ მიიქციოს და ძალუმად დაჰკრას რიგისა და დვინსკის რაიონში, სადაც ამდენი ხანია იბრძვის და წადილისთვის ჯერ ვერ მიუღწევია. შეიძლება მომავალ კვირაში ეს გამოირკვეს. 31 ოქტომბრის დეპეშის ცნობით რუსებს ბრძოლით წინ წაუწევიათ შლოკის რაიონში რაგოცემის დასავლეთით. თერთმეტი დღის შეუწყვეტელი და მკაცრი ბრძოლის შემდეგ რუსებს დაუჭერიათ კემერნი და ანტინგი. 30 ოქტომბრის დეპეშის ცნობით მდ. დვინის ზედ მარცხენა ნაპირზე მდებარე ბერზემიუნდე რუსებმა დაიპყრეს. 31 ოქტომბრის დეპეშის გადმოცემით აქ გერმანელებს ერთი დღის განმავლობაში ზედი-ზედ ათი ფიცხელი იერიში მიუტანიათ, მაგრამ რუსებს ათივე მოუგერებიათ. უფრო სამხრეთით დვინსკის რაიონში, სოფ. პრისტანთან და ილუკსტთან რუსები ოდნავ წინ წაწეულან. რაფალოვკას დასავლეთით ს. კოსტიუხნოვკასთან წინანდებური მკაცრი ბრძოლა არ შეწყვეტილა.

რაც შეეხება კავკასიის ბრძოლის პირს, სამხედრო მოქმედება თანაც განიერდება და თანაც უფრო და უფრო მკეთრ ხასიათს იღებს. მთელი ოსმალეთის საზღვარზე მოპირდაპირეთა მოწინავე რაზმებს შეუწყვეტელი შეტაკება მოსდით. ბრძოლა სპარსეთის ტერიტორიაზედაც გაჩაღდა და რუსები იძულებულნი შეიქმნენ აქეთკენ თავიანთი ძალები დაეძრათ. ურმიის ტბის დასავლეთ და სამხრეთ ნაპირებზე, სოფელ კალაზევის, შენგერის, შაითანოვის და შახ?ტეპეს რაიონში რუსებს შეტაკება ჰქონიათ ქურთების ბრბოსთან და გაუფანტავთ. შავი ზღვის პირა და თორთომის რაიონში მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსვლიათ კვლავინდებურად.

მეგრი.

შტაბის დეპეშები

პეტროგრადი, 30 ოქტ. ოფიციალი. შლოკის რაიონში რუსის ჯარებმა წინ წაიწიეს რაგაცეს დასავლეთით. 11 დღის შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარებს წელამდე ჭაობებში მოუხდათ ყოფნა, მაინც კემერნი და ანტინგი აიღეს. გერმანელთ დიდი ზარალი მოუვიდათ და დასავლეთით გადარეკილ იქმნენ. რუსებმა წამოიყვანეს ტყვეები და დავლად დაირჩინეს ტყვიისმფრქვევლები. ბერზემიუნდესთან, იქსკიულის მახლობლად ბრძოლა გრძელდება, ამასთანავე ერთი დღის განმავლობაში ათჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ ყოველთვის მოგერებულ იქმნენ რუსების მიერ. რუსთა თხრილების წინ მრავალი გვამი ჰყრია. ერთ-ერთ ბრძოლაში ლატიშებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს და ყველაზე ცუდ პირობებში გამარჯვებით გამოვიდნენ სასტიკ ბრძოლიდან. დვინსკის რაიონში სოფ. პრისტანთან და ილუქსტთან რუსის რაზმებმა რაოდენადმე წინ წაიწიეს. რაფალოვკის დასავლეთით კოსტიუხნოვსკის რაიონში სასტიკი ბრძოლა გრძელდება რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 270 ჯარისკაცი

კავკასიის ფრონტი. ზღვის ნაპირისა და ტორტუმის ტბის რაიონში მოწინავე რაზმთა შეჯახებაა. ურმიის ტბის დასავლეთით და სამხრეთით, ს. კაზალევისა, ბენგერისა, შაითანოვის და შაჰ-ტეპეს რაიონებში შეტაკება ხდება ქურთთა ბრბოებთან, ყველანი უკუგდებულ იქმნენ.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„რუსკია ვედომოსტს“ ატყობინებენ, საქართველოს ეგზარხოსი, ყოვლად მაღალ უსამღვდელოესი პიტირიმი, უმაღლესად დაამტკიცეს უწმინდეს სინოდის საზამთრო სესიის წევრადო.

პიტირიმის გაწვევის გამო

როგორც დანამდვილებით გავიგეთ,*) საქართველოს ექსარხოსი, ყოვლად სამღვდელო პიტირიმი, ხელმწიფე იმპერატორს პეტროგრადს გაუწვევია უწმიდეს სინოდის საზამთრო სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. ექსარხოსების სინოდში გაწვევა ჩვეულებრივი მოვლენაა, სხვა დროს, შეიძლება, ამისთვის არავის არ მიექცია ყურადღება, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამით საქართველოს ეკლესიას არა შეემატებოდა რა. დღეს კი, როდესაც ძველი ცხოვრება ძირანფესვიანად ირყევა და სასულიერო სფეროებში მომავალ საეკლესიო კრებისთვის გაცხარებით ემზადებიან, ამ ჩვეულებრივ მოვლენასაც უნდა გაუწიოთ ანგარიში, მით უფრო, რომ სინოდში მობრძანდება ისეთი ექსარხოსი, როგორიცაა ყოვლადსამღვდელო **პიტირიმი**.

ამბობენ, რომ ექსარხოსი პიტირიმი კეთილ ნდობით და სურვილებითაა აღჭურვილი, მაგრამ მას სინოდის სფეროებში თანამგრძნობი არა ჰყავსო. მაშ ეხლა, როდესაც ის რუსეთის ეკლესიის პოლიტიკას ასე თუ ისე სათავეში მოექცა, უნდა ვიფიქროთ, ადვილად შესძლებს თავისი კეთილი სურვილების განხორციელებას. ჩვენ, რასაკვირველია, აზრად არა გვაქვს პროგრამა დაუწეროთ ექსარხოსს, მაგრამ არ შეგვიძლია არ ალვიაროთ, რომ მარტო ალავერდის კათედრის აღდგენა და ქუთაისში სემინარიის გახსნა, რასაც დაჟინებით თხოულობს ექსარხოსი, ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას ვერ გამოაკეთებს. რად გვინდა ალავერდის კათედრა, თუ მისს წარმომადგენელს მედავითნის დანიშვნის უფლებაც კი არ ექნება? რად გვინდა ახალი ეპისკოპოზი, თუ იმასაც ის ბედი მოელის, როგორიც რამოდენიმე სხვა ქართველ მღვდელმთავარს, რუსეთში რომ ჰლევენ თავიანთ დღეებს? რად გვინდა ქუთაისის სემინარია, თუ სწავლა-აღზრდის საქმე ამ უკანასკნელშიაც იმ მდგომარეობაშივე დარჩება, როგორც ეს დღეს თბილისისაშია? ამით განა რამე შეემატება საქართველოს ეკლესიას? სასულიერო და საეკლესიო სკოლების ორგანიზაცია დღეს მთელს რუსეთში საჭირ-ბოროტო საკითხადაა გადაქცეული, ამ საკითხის სიმწვავეს განსაკუთრებით ჰგრძნობს საქართველოს სამღვდელოება, რომლის შვილები თავიანთ ახალგაზრდობას სლოვენურ ბიბლიის ზეპირებაში ჰკლავენ, ქართულ დაბადებიდან კი ერთ მუხლსაც ვერ იტყვიან. რა ყოფას განიცდის დღეს ჩვენში მრევლი, რა განწყობილება სუფევს მისა და მღვდლის შორის, რა მდგომარეობაშია ჩვენი ძველი ნაშთები,—ეს ყველა უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს ჩვენს მოხვაიშიადე ექსარხოსს. დასასრულ, ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ყოვლადსამღვდელო პიტირიმი კატეგორიულად წამოაყენებს სინოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს მას; ამით ის ნათლად დაგვიმტკიცებს თავის მამა-შვილურ გრძნობებს და სიყვარულს.

ქართველი.

---

*) ამას ამოწმებს აგრეთვე საკუთარი კორესპონდენტისაგან მოსკოვიდან მიღებული დეპეშაც. რედ.

საქალაქო არჩევნები და ჯგუფები

საქალაქო არჩევნების მოახლოვებამ სხვა და სხვა ჯგუფთა დაარსება და ამოქმედება გამოიწვია. ავლაბარში მუშაობს ექიმ იგითხანიანის ჯგუფი და არჩევნებში მხარს დაუჭერს საბჭოს ძველ შემადგენლობას. იქვე მუშაობს მეორე ჯგუფი ს. მირზოევის თაოსნობით, რომელიც თავის თავს ინტერნაციონალ ჯგუფს უწოდებს. ამ ჯგუფმა თავის კრებაზედ სასტიკად დაჰგმო ძველი შემადგენლობა და კომიტეტი აირჩია ხმოსანთა ახალ კანდიდატების დასასახელებლად. მუშაობა დაიწყო ამას გარდა ხმოსან ა. ბაბოვის ჯგუფმა, რომელიც თავის თავს „ნოვოდუმსკაია პარტიას“ უწოდებს.

ერთის სიტყვით, როგორც ხედავთ, მოძრაობა დიდია გავლენიან ჯგუფთა შორის. რა ჯგუფები არიან ეს ჯგუფები—ადვილი ასახსნელია. ექიმ იგითხანიანის ჯგუფის ფუსფუსი ავლაბარში—ეს „ხატისოვშჩინისთვის“ მოძრაობაა. უცნაურია, მაგრამ საუკეთესო „სოლოლაკელები“ მუდამ ავლაბრიდან გამოდიოდნენ. მაშასადამე რასა ქადაგობს ეს ჯგუფი და რანაირი იქნება ხმოსანთა ის შემადგენლობა, რომელსაც ამ ჯგუფის ამომრჩევლები მისცემენ ხმას—წინდაწინვე შეგვიძლიან გამოვიცნოთ.

ინტერნაციონალური ჯგუფი ბ. ს. მირზოევისა ახალია და ვიდრე გაცნობილი არა ვართ მის პროგრამასთან, არას ვიტყვით. მაგრამ თუ ჯგუფის სახელწოდებას გაუწევთ ანგარიშს, ალბად ეს ჯგუფი შოვინისტურ ჯგუფის წინააღმდეგ არის გამოსული.

ასევე ახალ რამეს წარმოადგენს ბ. არ. ბაბოვის ეგრედ წოდებული „ნოვოდუმსკაია პარტია“. მანამ კვიცი გვარზე ხტის და უნდა მოველოდეთ, რომ ყველა ნაკლი არ. ბაბოვისა ამ ჯგუფსაც ექნება. ეს ნაკლია დაუდეგრობა, ხელიდან ხელში გაძვრომა და სკამიდან სკამზე გადახტომა. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფსაც თავისი თავი ძველ შემადგენლობის მოწინააღმდეგეთ მოაქვს, თუმცა ჯერჯერობით არ ვიცით რა ფერისაა ეს კრიტიკა.

ამ ჯგუფთა შორის არ მოსჩანს ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი, მაგრამ გაზეთებში უკვე იყო ცნობა, რომ მათი კრება მხოლოდ დღეს იმართება. ამ ჯგუფის ხასიათზე და პროგრამაზედ მხოლოდ ამ კრების და მათ დადგენილების გაცნობის შემდეგ მოგვიხდება ლაპარაკი.

ახალი ამბავი

✦ **საბჭოს კრება.** ხვალ შესდგება ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც გამგეობა წარადგენს მოხსენებას საკვების შესახებ.

✦ **პურის ნიხრი.** ქალაქის სამეურნეო კომისიას პროექტი ჰქონდა შემუშავებული, რომლის თანახმად, საბჭო თუ შეიწყნარებდა იმას, პურის ნიხრი უნდა გადიდებულიყო. ეს პროექტი გადაცემული ჰქონდა განსახილველად ქალაქის გამგეობას. ამ დღეებში რადგან პური თითქმის აღარ მოიპოვებოდა თბილისში, გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა კომისიის პროექტი და სთხოვა ნიხრის გადიდება. გუბერნატორმა თხოვნა შეიწყნარა და, საბჭოს მიერ განუხილველად, ნიხრი დაამტკიცა, რომლითაც ყველა ხარისხის გამომცხვარ პურს გირვანქაზე ფასი ემატება ნახევარი კაპეიკი.

✦ **სურსათი.** 30 ოქტომბერს თბილისში შემოიტანეს რკინის გზით: ფქვილი 26 ვაგონი, სიმინდი 1 ვაგ., ქვავი 2 ვაგონი, მარილი 7 ვაგ. კარტოფილი 1 ვაგ. მჟავე კიტრი 2 ვაგ. ხილი 2 ვაგ. ღვინო 2 ვაგ. ბატები 1 ვაგ. კომბოსტო 2 ვაგ. ნავთი 3 ვაგ.

✦ **უპურობა თბილისში.** მიუხედავად ნიხრის გადიდებისა, პური მაინც ცოტა იყო გუშინ თბილისში. გუშინა და გუშინ წინ ქალაქის გამგეობამ 25 ვაგონი ფქვილი დაურიგა მეფურნეებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაღაც მოსაზრებით, გამგეობა მეთორნეებს არ აძლევს ანუ ნაკლებად აძლევს ფქვილს და ამის გამო მეფურნეები ვერ ასწრობენ ანუ განგებ აგვიანებენ პურის გამოცხობას. სამეურნეო კომისიის წევრმა ხმოსანმა კეილმა ეს გარემოება მიიღო მხედველობაში და გამგეობას წინადადება მისცა, რომ უპირატესობას ნუ აძლევთ მეფურნეებს და ფქვილი მეთორნეებსაც მიჰყიდეთო. ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ინსპექტორის ცნობებით, თბილისში სულ ორი დღის საკმარისი იქნება, მაგრამ მანამდის მოვა რკინის გზით ფქვილი.

✦ **საკვები კახეთისათვის.** ჩრდილო კავკასიაში დ. ლუკაშვილის მიერ ხორბლით დატვირთულ ორმოცი ვაგონიდან გუშინ დილით ნავთლუღში მოვიდა 20 ვაგონი. ეს პირველი პარტიაა კახეთისათვის ნასყიდ საკვებისა.

✦ **კახეთის რკინის გზის გარშემო.** თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა პეტროგრადიდან დეპეშით სთხოვა გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. მ. სუმბათაშვილს, რომ ნ. ნიკოლაძე [illegible] არ წამოსულა პეტროგრადს, დააჩქარებინეთ წამოსვლაო. თავ. სუმბათაშვილმა უპასუხა, რომ ნიკოლაძე 29 ოქტომბერს წამოვიდაო. როგორც ვიცით, ბ-ნი ნიკოლაძე მიტომ წავიდა პეტროგრადს, რათა დააჩქარებინოს მთავრობას გამოქვეყნება, რომ კახეთის რკინის გზა უკვე შევიდა საექსპლოატაციო ფაზაშიო.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახალხო სახლთან არსებული ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე წარმოადგენს მოლიერის კომედიას—„ტარტიუფი“.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, დილის 10 ნახევარ საათზე, უნდა შესდგეს სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის რამდენიმე წევრი და აგრეთვე განიხილოს მორიგი საკითხები.

✦ **მომხმარებელ ამხანაგობა „ალორძინების“** გამგეობამ დაადგინა 31 ოქტომბერს, დააჩქაროს გადაწყვეტა საკითხისა ამ ამხანაგობის ვაჭრობის გასამართად შენობის მოპოვების შესახებ და მოლაპარაკება გაიმართოს პროვინციის მომხმარებელ ამხანაგობებთან იმის გამოსარკვევად, თუ სოფლის რა და რა ნაწარმოების მოწოდება და რა პირობებით შეუძლიათ მათ „მეურნისათვის“; აგრეთვე რა და რა საქონელი დასჭირდებათ თითონვე, „მეურნემ“ მიაწოდოს.

✦ **გადმოხვეწილთა დახმარება.** იმ თანხიდან, რომელიც ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისაგან მოუვიდა კავშირის განყოფილებას კავკასიაში, გადმოხვეწილთა დასახმარებლად, ა. ი. ხატისოვმა გაუგზავნა: ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას და პოლსკის სახლს თითოს 400 მანეთი: აგრეთვე ბ-ნმა ხატისოვმა გაუგზავნა ბავშვებისათვის: ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას 100 წყვილი ტანისამოსი, მუსულმანთა საზოგადოებას 55 წყვილი და პოლსკის სახლს 50 წყვილი.

✦ **მუსიკალური საღამო.** დღეს, 1 ნოემბერს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება მუსიკალური საღამო ბ-ნ პრესმანის ლოტბარობით.

✦ **გადმოხვეწილ სომეხთა თავშესაფარი.** ტიგრან ნაზარიანცის თაოსნობით მუშტაიდის მახლობლად, მიხეილის პროსპექტზე, დღეს იხსნება ახალი თავშესაფარი გადმოხვეწილ სომეხთათვის. სომეხთა კათალიკოსმა 1,000 მანეთი გამოუგზავნა ბ-ნ ნაზარიანცს ხსენებული საქმისათვის.

✦ **ხოლერა.** 30 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერის ნიშნებით 1, გამოეწერა ლაზარეთიდან 8 და გუშინ, 31 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერიანი 26 კაცი.

ძველი ლეგენდა

ყვავილთა მთაზე სცხოვრობდა გულო. ვინ იყო, საიდან მოსული, არავინ იცოდა. ეს კი იყო, რომ მის გრძნეულებაში ყველა დარწმუნებული იყო.

გულო უსინათლო მესალამურე გახლდათ. საცაორი იყო. ხეთა ფურცელის შრიალს, ყვავილთა საუბარს, ნიავის ლაზღანდარობას და ვარსკვლავთა სიმღერას ისე სისწორით გადმოსცემდა სალამურით, რომ ყვავილებს, ვარსკვლავთ, ხეთა ფურცელთ თუ ნიავს თვითვე უკვირდათ, ვინაა რომ ჩვენის ენით ასე სწორედ გვესაუბრებაო.

გულოს ბედნიერს ეძახდნენ: უდარდელია, ფრინველსავით თავისუფალი, სიცოცხლე მისი ყვავილთა ფურჩნის სურნელოვნებააო.

თვითონ გულო კი სულ სხვა აზრისა იყო. მართალია, მან შეიმცნო უტყვთა მეტყველება, მაგრამ უსინათლობა სტანჯავდა, გარეგნული ქვეყანა მისთვის საიდუმლო ამოცანა იყო.

— მითხარით, ყვავილებო, ვინ ხართ, რა ფერისა? ნუ თუ გარეგნულადაც ისეთი მშვენიერი და კეკლუცი ხართ, როგორც თქვენი სურნელოვნება?

— ოჰო, ბრმა ყოფილა, ბრმა...

ყვავილებს იმათ, ამ მხრით მაინც დავსჯით და ჩვენს გარეგნულ სილამაზეს არ გავაცნობებთო. კისკისებდნენ. გულოს ესმოდა მათი დამცინავი ხმა, ესმოდა და კვნესა მისი მით უფრო მომჯადოვებელი ხდებოდა ლელწმის სალამურით

— შენ? შენ კი არ მეტყვი, ცელქო ფრთოსანო,—მიჰმართავდა ახალ ნიავს, მოდი, დობილთა ჩუმად მაინც გამანდე მათი რაობა, ვარსკვლავებზე მელაპარაკე...

სიო ხომ დაუდეგარია, ტიტინა. ხშირად გაუცია საიდუმლო:

— გეტყვი, გულო, გეტყვი: აი, ეს ყვავილი, ხელში რო გიჭირავს, იაა, ჟუჟუნა თვალება, მუქ ცისფერ კაბიანი. გაიგე?

— ვერა, ვერ გავიგე...

— მაშ როგორ აგიწერო?

— ლამაზია?

— ო-ო-ო! მაგას კი ნუ მკითხე, შეყვარებული ვარ და... შეიძლება გადავაჭარბო.

— ვარსკვლავი?

— ისიც ლამაზია, მეტად ლამაზი. ხომ იცი, კანდელი ხომ გინახავს, გაცილებით მაზე კეკლუცი სანახავია, მაგრამ...

— მაგრამ?..

— გრილია. ვგონებ მიჯნურობისა არა უნდა ესმოდეს რა. სულ სხვაა აი ამ ასკილის ვარდი. ეს სულ გრძნობათაა გადარეული. გიჟი. ვერც კი გაივლი გვერდით, უმალ კლავს გადმოგხვევს, გაგკაწრავს, შხამს ჩაგასხავს, სად მიხვალ, როცა ასეთი ტურფა ტყის დედოფალი აქა ვარო.

— ლამაზია?

— ხომ იცი, განთიადის ძოწეული?..

— არა, არ ვიცი.

— აბა მაშ როგორ გაგაგებინო, ნამდვილი განთიადის წამოსასხამის ბრწყინვალე მშვენიერება... მისი ლოყები, ღმერთო ჩემო, ნაზად აბურცილი ლოყები... ღმერმა შეარცხვინოს თქვენებურ ქალწულთა სიკეკლუცე! პირდაპირ საკოცნელად მიწვევს... აჰ, აგერ ეხლაც...

ფთრა შემოჰკრა. მიეჭრა ასკილს. გადაეხვია და გიჟურად დაუწყო კოცნა. გულოს მათი სიმთვრალის ფშვენა შეესმა. მთლად მოწყვეტილი, საიდუმლო აუხსნელი გამობრუნდა და სალამურს ააკვნესებინა თავის წუხილი.

II

ცხრა თვალა განთიადი ცეცხლის ეტლით მობრძანდებოდა. გულო მწვერვალებზე იდგა და უხილავ არსთა აღტაცებას ყურგანაბვით იტაცებდა.

— აჰ, რომ შემეძლებოდეს...

სალამურით გადმოსცა მთელი ბუნების აღტაცების სიდიადე, თვით ბუნებას გააკვირვებდა, ერთი წუთით შეაკრთო კიდეც.

— ვინ ხართ, ვინ? მეჩვენეთ, გამენდეთ...

გულომ წამოიწია. ხელი წაატანა სივრცისაკენ, საიდანაც განთიადის ცეცხლის ეტლის ხმაურობა ესმოდა. ეგონა, წავწვდები, შევიპყრობ და საიდუმლოს ეხლა მაინც ავხსნი პირსაო, მაგრამ ორიოდ ნაბიჯიც არ გადასდგა, რომ თავმა გადასძლია და ნაპირიდან ძირს დაეშვა.

— ჯანდაბას... დავიმსხვრე...

ეს კი მოასწრო გულომ, როცა მიჰგორავდა და ბუჩქიდან ნაპრალს ეჯახებოდა, ნაპრალიდან ბუჩქთა ტოტებსა.

— საბრალო, საბრალო...

წამოიძახა ვარდის ბუჩქმა.

— ნუ დავღუპავთ, დობილებო, ნუ... ნუ...

მკვლავები გაშალეს და გულო შეაჩერეს. მაგრამ გულოს გრძნობა დაჰკარგვოდა. ნახევრად ძვლები დამტვრეოდა. ნორჩმა კოკრებმა უცხო სტუმარს ოდნავაც არ დააყვედრეს, რომ ზოგიერთა მათგანი ქვეშ მოეგდო და მოესრისა. ერთად-ერთმა ნიავმა იცნო გულო. მწვერვალიდან დაიქურაგა და ცნობისმოყვარეობით გამოჩნდა ახლო აქ. მიძინებული რო დაინახა, გულო მოიცა, იქავ დობილ ყვავილებს ჩამოურბინა და არხეინი ტიკტიკა ენით მოუყვა ცელქებს:

— რა თვალები დაგიჭყეტიათ? არ მომკვდარა... გადარჩა... შეხეთ, პატრონიც მოდის...

მართალი იყო. მწყემსი ქალი ცებო ცხვარს აძოვებდა. უბედურობა დატეხილი რო დაინახა, ეგონა, ვინმე გზა დაბნეული მწყემსი ჩამოვარდაო, გამოქანდა, გულო მონახა, ფეთქვაზე შეატყო, ცოცხალიაო. იქვე წყაროზე მიიჭრა, მუჭით ცივი ნაკადი წამოზიდა და სახეზე აპკურა.

— ვინა ხარ?

დაიზმუვლა გულომ.

— ცებო... წამო, საბრალო, შინ წამომყე, რო დაგაწვინო.

III

ცებოს მზრუნველობამ მალე გამოაბრუნა გულო. უნდოდა, შინ დაებრუნებინა, მაგრამ გულოსგან ვერა გაიგო რა, ვინ იყო, რა სოფლიდან, ანუ რა მხრიდან. ყვავილთა, ბუჩქთა სახელები ჩამოუთვალა, მაგრამ ცებოს მაინც მისი ასავალ-დასავალისა ვერა გაეგორა. ნაღვლობდა, გულოც მის ნაღველს იზიარებდა, მაგრამ სულ სხვა იყო მისი ნაღველი. ცებოს მზრუნველობამ მის მოხმატკბილებამ სხვაფრივ ააგრძნო მისი სული. საოცარი ცვლილება მოხდა. სული მისი უცნაურმა განცდამ დაჰსერა. უნდა გენახათ, ახლა რა ჰანგით მოიმართა მის სალამური. ყვავილთა მიჯნურობის სიმღერა და ვარსკვლავთა ჰარმონია მკვნესარე ჰანგათ ჩაამღერა. გადიოდა დღე და ცებოც მის სულის მხედველი ხდებოდა. ვერ მოითმინა. ერთხელ მოურიდებლად მივიდა და ბრმა თვალებზე დაუკოცნა. გულო წამოხტა, თითქოს საიდუმლო ახსნაო, უცბად ყელზე მოეხვია, თვითონაც დაუწყო კოცნა და ჩურჩული:

— აი რა, თურმე რა მკლებია და არ ვიცოდი... მორჩა, გათავდა...

იდილიამ ფრთები გაშალა. სალამური ცხრათვალ სიმღერით გადაჰრევდა ყველა მსმენელსა. გულოს შინ დაბრუნებაზე აღარ უფიქრია და ცებოც ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, რომ ასეთი ბუნების მესაიდუმლე დაიპყრა, თავის მორჩილი გახადა.

— აბა როგორ გიყვარვარ, ცებო, აბა, აბა, მიჩვენე ერთი...

ჰკითხავდა მთვრალურ ბურუსში შეცურებული გულო და ისიც ნაზად მოჰხვევდა ხელს და ყველაზე უწინ დაუკოცნიდა დახუჭულ თვალებს:

— აი, ასე, ასე...

უსაზღვროდ ჰნეტარებდა ამ დროს გულო, ერთგვარ მალამოდ, ნელსაცხებლად ჰხვდებოდა ცებოს კოცნა მის დამწვარ თვალებს. მადლობას კოცნითვე გადუხდიდა და თან ჩურჩულით შეჰნიშნავდა:

— იცი, ცებო, რა მსურს? ახლა რა ნატვრა დამრჩა ასასრულებელი?

— რა, გამახარე?

— მხოლოდ წუთით, მხოლოდ წუთით მომცეს განგებამ თვალთა ხედვის შნო, ვიხილო შენი სახე...

— ოჰ, ნურცა ჰქნას ღმერთმა...

თავშეუკავებლად შეჰკივლა ცებომ. მაგრამ გულო სიმთვრალეს ზმანების ბურუსში გაეხვია:

— შენ ხომ სული ხარ, სული... დღემდე რაც ჩემს სალამურს გაუცნობებია არსთა სინარნარე, არც ერთი ისეთი წარმტაცი არ ყოფილა, როგორც შენი სული... აჰ, რომ შემეძლოს ერთხელ მაინც ვნახო მაგის გარეგნული სამკაული... სიომ, ნიავმა ამიწერეს მნათობთა სილამაზე და ყვავილთა სიკეკლუცე. აღწერილობიდან გავიგე, რომ მათი გარეგნული სიკეკლუცე სულიერისას აღემატებოდა და შენი სული ხომ... ჩემო ცებო, ყველა მნათობისას აღემატება... ნიავმა სთქვა, ანათებენ მაგრამ ცივად იყურებიანო, შენ კი ასეთი აღგზნებული ხარ... აჰ, რომ ერთხელ მაინც გნახავდე...

კვლავ მოეხვია. ბრმა თვალები ჩააშტერა მის სახეს, მაგრამ ცებომ ხელები აიფარა, თითქოს შეეშინდა ჩემი ნაყვავილარევი უსახობა სასწაულით არ განსჭვრიტოსო.

IV

გულოს სალამურის კვნესა თალხით ჰმოსავდა ყველა მსმენელს. მომაჯადოვებელ სულის სურნელოვანება მას ოცნების სარბიელს უშლიდა, ზმანების ზურმუხტოვან ველს, რომ ცებოს გარეგნული სამოსელი ენახა. ცასა და მიწას შესთხოვდა მოწყალებას, მიეცათ წუთით მხედველობა, ეჩვენებინათ ცებო და შემდეგ სამარადისო სატანჯველზე ხელს მოაწერდა. აი, ეხლაც გამოსულა ფერდობზე. ასკილის ძირას ზის და სალამურს აკვნესებს. ცებო ჩვეულებრივ ზურმუხტის ველზე დასრიალებს და ხან ერთ ცხვარს მიეალერსება, ხან მეორეს.

— გულო, გულო...

მოესმა ამდროს ხმა.

გულოს ასეთი უცნაური ძახილი არსად შეჰსმია, სალამური ხელთ გაუვარდა.

— ნუ გეშინიან... ფერია ვარ... კეთილი ფერია...

— ფერია?

— ჰო, ნამდვილი ფერია... მოველ ნატვრა აგისრულო...

— რა ნატვრა, მე მხოლოდ სინათ-

დ. წალენჯიხის დეპუტაცია მეფის ნაცვალთან

29 ოქტომბერს თბილისში მეფის ნაცვალს მათ იმპერატორებითი უმაღლესობას ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა დ. წალენჯიხის დეპუტაცია, რომელიც შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან: პეტრე კედიასა, ალექსანდრე ფალავასა, ქ. გვაჯავასა, ე. ანთელავასა და № შენგალაიასაგან. დეპუტაცია სთხოვდა მის იმპერატორებითი უმაღლესობას, მიეცა კეთილი განკარგულება დ. წალენჯიხისათვის უკანვე დაებრუნებინათ იქიდან ხაბუმეში უკანონოდ გადატანილი სასამართლო. მეფის ნაცვალმა ყურადღებით მიიღო ჩამოსული დეპუტაცია და თხოვნა მოუსმინა.

დეპუტაციის თხოვნაზედ მისი იმპერატორებითი უმაღლესობას შეუნიშნავს, რომ მას მოხსენებია საფუძვლიანი დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, რომ სასამართლოს გადატანა ხაბუმეში აუცილებელი და საჭირო ყოფილა.

დეპუტაციას მიუგია, რომ მთელი იმ კუთხის ინტერესი და სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ეგ სასამართლო წალენჯიხას შერჩენოდა და უთხოვნია მეფის ნაცვლისათვის თვის კანცელარიიდან ერთი საგანგებო მოხელე გაეგზავნა ამ საკითხის ადგილზე გამოსარკვევ და თხოვნის სრული საფუძვლიანობის და სამართლიანობის აღსადგენად. მათ იმპერატორებითი უმაღლესობას დასტური განუცხადებია და დაჰპირებია საქმის გამოსარკვევად საგანგებო პირის გაგზავნას.

მეცნიერი რორბახი რუსეთის შესახებ

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა პაულ რორბახმა ამ მოკლე ხანში წიგნი გამოსცა ასეთის სათაურით: „რუსეთი და ჩვენ“.

რორბახი ამ წიგნში სხვათა შორის ამბობს: შეიძლება ვსთქვათ, რომ რუსეთის ნაციონალურ სიძლიერის საფუძველი და მასთან გადაბმული საფრთხეც დანარჩენ ევროპისთვის, იმ აგრარულ რეფორმაშია, რომელიც რუსეთში მოხდა 5 ნოემბრის კანონის ძალით.

რორბახი ეხება ამ კანონს, რომელმაც რუსის გლეხი „ობშჩინურ“ მდგომარეობიდან გამოიყვანა და მესაკუთრე გახადა. რორბახი ამ რეფორმას ოსტატურათ შესრულებულ რეფორმას უძახის, რომლის საქმე, სტოლიპინის სიკვდილის შემდეგ, კრივოშეინის ხელში გადავიდა, რომელსაც რორბახი „თვალსაჩინო ორგანიზატორად და დასავლეთ-ევროპიულად განათლებულ პიროვნებად“ სთვლის.

ეს აგრარული რეფორმა დიდ დაბრკოლებას უმზადებს გერმანიის ზრდასა და განვითარებას.

ავტორის აზრით, აუცილებლად საჭიროა სახეში გვქონდეს ის გარემოება, რომ რუსეთის მთავრობამ ეს რეფორმა პოლიტიკურის მიზნებით შემოიღო. მას სურდა ამით რევოლიუციის ჩაქრობა, რეფორმის წყალობით რუსის გლეხი რუსულ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ იდეის მომხრეთ ხდება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსის გლეხმა მხოლოდ ეხლა იგრძნო შინაგან-პოლიტიკური განწყობილება რუსეთის სახელმწიფოსთან. აქამდის სახელმწიფო, ან მთავრობა გლეხს არაფერს არ აძლევდნენ, მოთხოვნით კი ბევრსა სთხოვდნენ. მაგრამ ეს პირველი მაგალითია, რომ რუსეთის სახელმწიფო რამეს აძლევს რუსის გლეხს და აძლევს სწორედ იმას, რაზედაც ის ოცნებობდა საუკუნოებით მიწას. ამას ის მოსდევს შედეგათ, რომ გლეხი ფაქტიურად და პრაქტიკულად პანსლავიზმის ბრმა იარაღად ხდება. გლეხი, რასაკვირველია ვერ ჩასწვდებოდა პანსლავიზმის პოლიტიკურ თეორიის არსებას, მაგრამ იგი იღვიძებს, როცა ესმის, რომ უცხო ქვეყნების დაპყრობით მიწის შოვნა შეიძლება.

რუსის გლეხობა პანსლავიზმის საშიშ იარაღად ხდება. უკვე ეხლავე დააჯერეს ის, რომ მას უნდა სძულდეს ყოველივე გერმანული. გერმანელ გლეხს და მემამულეს კი მიწა უნდა წაერთვას, ომის გამოცხადებისთანავე რუსის პანსლავისტურმა მთავრობამ რასსიული ომი გამოაცხადა.

საშიშია აგრეთვე ისიც, რომ რუსის ხალხი მრავლდება გასაოცარის სისწრაფით.

1870 წლიდან 1915 წლამდე, რუსეთის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა. 1870 წელს რუსეთში 80 მილიონი მცხოვრები იყო, ეხლა კი იგი 170 მილიონს აღემატება. ეს ისეთი პროგრესი არის, რომელსაც შიშით შეუძლიან აღავსოს ევროპის დანარჩენი სახელმწიფონი.

ამიტომ არის, რომ ასეთი დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ აგრარულ რეფორმას.

თუ კი ასეა, იბადება საკითხი:

უნდა დარჩეს რუსეთი ევროპიულ სახელმწიფოთ ამ სიტყვის აქამდის მიღებულ აზრით, თუ არა, თუ კი გვინდა, რომ ჩვენი მომავალი უზრუნველვჰყოთ?

და ამ კითხვაზე რორბახი გადაჭრილ პასუხს იძლევა

თუ რუსეთი ამ ომს გადურჩა, ამბობს რორბახი. მახლობელ დროში რუსეთი კვლავ მოიკრებს ძალებს და კვლავ ეცდება თავის პანსლავისტურ მიზნების განხორციელებას.

ამიტომ საჭიროა მასთან იმ დრომდის ბრძოლა, ვიდრე არ დავამარცხებთ მასში იმ ძალას, რომელიც ახლო მომავალში ერთი ორად და ერთი სამად იქცევა და საფრთხე იქნება არა მარტო გერმანიისთვის, არამედ ევროპის კულტურისთვისაც.

საშიში ის არის, რომ თანამედროვე რუსეთი უკვე კონსერვატიული აღარ არის, იგი უკვე აღარც აბსოლიუტურია. ეხლა მასში მხოლოდ დემაგოგიაა და დემაგოგია პანსლავისტური...

რითი შეუძლიან გერმანიას გადირჩინოს თავი ამ საფრთხიდან?

რორბახი პირდაპირ და ნათლად მბობს: „ჩრდილოეთით ბალტიის მხრის შემოერთებით, სამხრეთით დამოუკიდებელ პოლონეთის დაარსებით და სამხრეთ-აღმოსავლეთით თავისუფალ უკრაინის“.

„აი, ის დიდი პერსპექტივები, რომლებიც გვებადება მას შემდეგ, რაც გერმანიამ ეს ადგილები დაიპყრო და დაიპყრობს. ეს არის ის მდიდარი დავლა, რასაც მიიღებს გერმანია რუსეთისაგან გწეულ მსხვერპლისთვის. ნამდვილი გერმანული ქვეყანა, სივრცით იმდენივე რაც სამხრეთი გერმანია და ელზას-ლორენი... ძალთა განწყობილების შეცვლა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ იხსნის გერმანიას და მის მოკავშირეებს მილიონ რუსების თავდასხმისაგან... ამასთანავე შემოერთება გერმანულად განათლებულ მრავალ მილიონ გერმანელებისა და მილიონ გერმანელების გადარჩენა რუსეთის ქვეშევრდომობისაგან, რორბახის აზრით, ისტორიული მისიაც კია გერმანიისათვის, მით უმეტეს, რომ სატყვა ეხება „გერმანიის გადიდებას ერთ მესამედზე შემოერთებას ზღვის პირა ხაზისას, რომლის პირდაპირ დევს მონათესავე გერმანული შვეცია და გერმანიის კულტურას ზიარებული ფინლიანდია. ასეთია რორბახის აზრი.



ოსმალეთის განახლებული იერიშების მიმართლება.

„კახეთი“ კახეთში

II

როგორც წინა წერილში ვწერდი, კარდანახის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის ხელმძღვანელნი თანაგრძნობით შეხვდნენ საკრედიტო, მწარმოებელ და გამსაღებელ კოოპერატივების შეერთების იდეას. ამ იდეას კარგი საფუძველი ჰქონდა გამზადებული ადგილობრივ ინტელიგენციის გავლენით, რომელსაც აზრადა ჰქონია თვისი საკუთარი საწყობიც კი იქონიოს ღვინისა, რომ ერთობლივ შეეძლოს დაგირავებული ღვინო წევრებისა კარგ ფასებში გაუხადოს და სრული ფასი დაუბრუნოს. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ეხლა სწორედ ულარიბესი ნაწილი გლეხკაცობისა იძულებულია თვისი ნაშრომი ჩალის ფასად მიჰყიდოს ათას გვარ გაუმაძღარ ჩარჩსა. საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც უფლება აქვს აწარმოვოს საშუამავლო ოპერაციები, სოფელს დიდ სამსახურს უწევს, თუ ხელმძღვანელნი რიგიანი და საზრიანი ჰყავს.

ამ მხრივ კარდანახის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაუფასებელ ღვაწლს დასდებს მთელს სოფელს, თუ ღვინის მწარმოებელი შეაგროვებს და შესძლებს საერთო გაყიდვას ღვინისას, ვენახების შეწამვლის და მოვლის გაუმჯობესებას, წამლისა და სხვა საჭირო საგნების მოწოდებას და სხ.

ეხლანდელი თავმჯდომარის ენერგიული მოქმედება და ადგილობრივი გლეხკაცობის ჩაბმა საერთო საქმეში თავმდებია ს. კარდანახის საერთო წარმატებისაც და ნამეტნავად მეღვინეობის საქმის მოწყობისაც, ვინაიდან საკარდანახო სწორედ ღვინის დედათაა შეგულვებული კახეთში. თანაზიარი მოქმედება მწარმოებლებისა, საკრედიტო ამხანაგობისა და ისეთი გამსაღებელი კოოპერატივისა, როგორიც არის საზოგადოება „კახეთი“ საიმედო მომავალს უქადის მთელ კახეთს და ახალი თაობა გულმოდგინედაც ეკიდება ამ საქმეს.

რაე.

ქართველების დავალიანება შეერთების პირველ ხანებში

სომხის ერისა და ვაჭართა ცხოვრება საქართველოში ულხინო იყო. ბევრად თუ ცოტად თვალსაჩინო ვაჭრებად მე-XVIII საუკ. დამლევამდე თბილისში სულ ოთხიოდე კაცი ითვლებოდა, ხოჯაბინასოვი, ნაზარბეგოვი, მიკირტუმოვი და ალლათოვი. იმ დროს არც ერთს მათგანს თბილისში ქარვასლა არ ჰქონებია. თუ რამ ქარვასლა მოიძებნებოდა, ჩვენი ბატონიშვილებისა იყო. ქართველებსვე ეკუთვნოდათ სოლოლაკისა, ორთაჭალის და სხვა კუთხის ბაღები. სომხებს სავაჭრო დუქნებათ პატარ-პატარა ხუხულები ჰქონდათ, პატარა დერეფნებითვე. მართალია, მაშინდელი ვაჭრები მოგზაურობდნენ სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში და 1780 წ. რუსეთშიაც გაიკვლიეს გზა, მაგრამ მათი ვაჭრობა მაინც განსაზღვრული იყო. ამ მხრივ ქართველები დიდს კონკურენციას უწევდნენ. შეძლება და ქართული ფული ქართველების ხელშიაც ტრიალებდა. ქართველ ვაჭართა, სოვდაგართა და ხელოსანთა რიცხვი შემცირდა და თითქმის მოისპო კიდეც, როგორც წინა წერილშიაც ვთქვით, 1795 წ.

1800 წ. მეფე გიორგი გარდაიცვალა. მისი ანდერძით საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამ გარემოებისთვის ქართველი ერი სრულიად მოუმზადებელი იყო და ამიტომაც ვერაფერი უსარგებლნია. სამაგიეროდ სომხებს ალღომ არ უღალატათ. ვიდრე ქართველობა ახალ ბატონის მოსვლას შეურიგდებოდა და მასთან დამოკიდებულების განმტკიცება-ჩაშლაში იყო გართული, სომხობას წუთითაც არ დაუსვენიათ, შეადგინეს ამხანაგობანი და შეერთებულის ძალით განამტკიცებდნენ ვაჭრობას. ამისთვის კი საუკეთესო ნიადაგი იყო. ახალ ახლის ახალ ტალღას, მით უმეტეს, მხედრობას ესაჭიროებოდა სურსათი, მათ მოტანილ საქონელს კი გაცვლა-გამოცვლა, უკედ—ბაზარი. ყველა ამის წარმოება წილად ჰხვდათ სომხებს. ამან სული ჩაჰბერა სომხებს. ვისაც 1800 წლამდე რაღაც 200—300 მანეთი ჰქონდა და თავი მდიდარ კაცად წარმოედგინა, ეხლა 1805 წ. 2 ათას—3 ათასებსაც აღარ სჯერდებოდა და ნაკლებს ხომ ფულსაც აღარ ეძახოდა.

1803 წლ. თბილისის სომხებმა მოსპეს ვაჭრობა უცხო ერებთან, მოიშალეს შორს სიარული, სპარსეთი და ინდოეთი ეხლა მათ ადვილად ველარ მოსტაცებდა თვალს. ან რა საჭირო იყო, როდესაც ახალი სარბიელი იპოვეს რუსეთში. ახლა დაუმატეთ ის გარემოება, რომ რუსეთში მალე კრედიტიც გაიხსნეს და ადვილად ახსნით თუ ეს პოლიტიკით სრულიად დაუინტერესებელი ხალხი რატომ გამდიდრდა ასე რიგად და რატომ გაიმაგრეს ვაჭრობით ზურგი მაშინ, როდესაც საქართველოს ათასი ფიქრი და ვარამი აწუხებდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დასამარების შემდეგ. ქართველი ხალხი ჩამორჩა. იგი მეტოქეობისათვის ველარ იცლიდა. ამით გათამამებული სომხები ისე დაწინაურდნენ, ისე წავიდნენ წინ, რომ მათგან [illegible] კი გაჩნდა. რუსის მხედრობისთვის სურსათის მიწოდებაზე ქართველი ველარ იფიქრებდა. ახალ ოქროს წყაროს მათ ჯიბისთვის გაჰქონდა ჩხრიალი.

ამნაირად, რუსის მხედრობის შემოსვლამ, მათმა დამკვიდრებამ საქართველოში შეჰქმნა სომხის ვაჭრობა. თუ მანამდე მეწვრილმანის დუქნებით კმაყოფილდებოდნენ და სომხურ კაპიტალზე ხმის ამოღებაც მეტი იყო, ეხლა იმდენად გამაგრდნენ, რომ უბრალო ჩარჩებიდან სოვდაგრობა გაიკრეს, რაიც იმ დროს ბურჟუას თანასწორი იყო. სიტყვით, კაპიტალის შესაქმნელად სომხობამ უკვე ნაბიჯი გადასდგა, მაშინ როდესაც ქართველობა, როგორც ზემოდა ვსთქვით, მოუსვენრადა ჰშფოთავდა და ხშირად ხმალ-კაპარჭის მომარჯვება სჭირდებოდა თავის ახალ დამეგობრებულ და თანამორწმუნე რუსთა რომელთაც ვერ შეეგნოთ ჩვენი ტრადიციენი ჩვენი კულტურის თაყვანისცემა, ჩვები, ერის სულისკვეთება და უდიერი მოპყრობით აჯანყებოდა ისედაც მღელვარე ქართველის სამხრეთელ ხალხს. არა გამჭრიახობა, არა ფულისადმი გაკიდება, არამედ ხმალი, ჯვარი და... მამაპაპური გუთანი. აი, ამ გუთანთან დაბრუნება, ქალაქის მცხოვრებთა მიწაზე და დაკვრა გახლავთ უმწვავესი ეტაპი ჩვენი ჩამორჩენისა და სომხურ ვაჭრობის აღორძინების ხანა.

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოუვიდა მეორე კლასს, ვთქვათ, ბრწყინვალე წოდებას?

უნდა მოგახსენოთ, რომ მათ რაც თანამდებობა დაჰკარგეს, სრულიად უმწეოდ იგრძნეს თავი. ხსნა ახლა გარევნულად ახალ კულტურის მიღებაში დაინახეს. ამისთვის მიჰყვეს ხელი მამულების დანიავებას, დარდს ახლა სმაში იკლავდნენ. ყოველი დღე ქართველთა ნიადაგის დაკარგვის მომასწავებელი იყო, ხოლო სომხებისთვის კი განმტკიცების ემბლემა. მაგრამ ეს როლი კმარა. წინად ამაყი, თავისუფალი ქართველი, რომელიც სომეხს არას დროს გაიამხანაგებდა და ისე უყურებდა, როგორც დაწყალობებულ გლახას, ახლა მის წინაშე იხრის ქედს, იხრის იმიტომ, რომ იძულებულია ასე მოიქცეს. მას სჭირია ახალი ტანთსაცმელი, სახლის მოსაწყობი ავეჯეულობა, ყველა ეს ქართველ ვაჭრების გაქრობის შემდეგ სომეხთა ხელში გადავიდა. რუსეთიდან მოსული საქონელი მათ არ ასცდებოდა. ქართველი ძველი ფეოდალი ჯერ მორცხვად მიჰმართავს მას, ბოლოს არც იმას უკადრისობს, რომ მამულები დაუგირავოს და რაღაც გროშებში მისცეს უკვდავება მამულები. მაგრამ ის, რაც ხაზგასასმელია, გახლავთ სომხის ვაჭართა გამჭვრეტელობა: მათ ქართველებს სავაჭრო ნისიად აძლიეს. შემდეგ ნისიის განაღდება რო მოითხოვეს, ბევრმა იტკიცა კიდეც, მაგრამ რას გახდებოდა: სომეხ ვაჭარს რუსის კანონით ზურგი ჰქონდა გამაგრებული. ქართველიც და ისიც თანასწორ უფ-

---

ლის დანახვა მწყურს, ეს კი გაგებული მაქვს, არასოდეს არ მეღირსება.

— როგორ არა, კეთილ ფერიას ყოველისფერი შეუძლიან.

— ყოველისფერი? მაშ სინათლეს დავინახავ? ცებოსაც?.. ჩემს სულის ცებოსაც ვნახავ?.. ჰო—ო? ვნახავ?

ნეტარების თრთოლვამ მოიცვა.

— რა თქმა უნდა, ნახავ, მაგრამ კი არ გირჩევდი...

გულო შეკრთა...

— რატომ?

— ყური დამიგდე, მეგობარო, ხომ გითხარ, კეთილი ფერია ვარ. შენთვის სიკეთის მეტი არა მსურსრა. რასაც ეხლა შენ ჰხედავ, ხილულნი მაგას მოკლებულნი არიან. სულის სიკეკლუცესა და სინარნარეს გარეგნულზე ნუ გადასცვლი. შენი სალამური აღარ იქნება შენი, მრავალთა საკუთრებად გარდაიქმნება. სმენა დაგეხშვის, შეიძენ მხოლოდ გარეგნობის მჭვრეტელობას და სულის შინაარსს კი ვერ იხილავ, დაგეხშვის იგი. ოჰ, ხილულნი რომ ყველა ამას სჭვრეტდნენ, რა ბედნიერები იქნებოდნენ! მათი ცნობიერება გარეგნულია. ვერ წარმოიდგენ, რა გული სწყდებათ, როდესაც მათ გრძნობათ თვალი ეხუჭვის და ძილს მიეცემიან ხოლმე. ოდნავი ზმანების გაღვიძებაა საჭირო, რომ გული მოეშვათ, განსპეტაკდნენ, ერთგვარი შვება იგრძნონ. გარეგნობის ღმერთთა მსახურებამ მოჰკლა შინა მხედველობის თვალი. აი, თუ ყველა ამის შემდეგ ინებებ, მაშინ...

გულო ვერ მიმხვდარიყო მის საუბარს. ის მხოლოდ თვალთა ხედვას სთხოვდა.

— თუ არ დაგიშლია,—უთხრა საბოლოოდ ფერიამ,—აჰა, აგიხსნი, მაგრამ ვაი თუ ინანო...

თვალებზე ცივი ხელი მიადო. გულოს გაათრთოლა.

— ცოტაც, ცოტაც... იყუჩე... აი, გათავდა...

ხელი აუშვა. გულომ თვალები გაახილა. ეუცნაურა. ყოველისფერი ბრჭყვიალებდა. უცნაური იყო, რომ ფერია აღარსად სჩანდა. უჩვევი თვალი ხან ცას მიაპყრო, ხან მიწას, ყოველისფერი ეპატიჟებოდა, ყოველისფერი თითქოს იწვევდა საკოცნელად. ოღონდ უბედურება ის იყო, რომ არ იცოდა, რას რა დანიშნულება ჰქონდა, ან საით წასულიყო.

— ღმერთო, ღმერთო... აღსრულდა... აღსრულდა...

სალამურს ძებნა დაუწყო, იქვე ეგდო, ჰხედავდა, მაგრამ ვერ ეცნო. მხოლოდ ხელის წავლების უმალ გულში ჩაიკრა და ცრემლების ფრქვევით ჩასჩურჩულა.

— წავიდეთ, წავიდეთ... ცებო შინ გვიცდის...

V

ცებოს ცხვრები დაებინავებინა. ჩვეულებრივ მის მოლოდინში იყო.

— რათ დაიგვიანა, რა ვქნა?

გულმა ველარ მოუთმინა.

— კიდევ უბედურობა შეემთხვევოდა.

ის ის იყო, კარში გამოვიდა, რომ გულოც შეამჩნია. თითქმის მორბოდა. სახეზე უცნაური აღმაფრენა ეხატებოდა. ცებოს ცოტა არ იყოს ეუცხოვა, რომ გულო სალამურს აღარ აკვნესებდა, როგორც ეს ჩვეულებადა ჰქონდა ყოველ შინ დაბრუნების დროს.

— ცებო, ცებო... მოდი, მოდი ახლოს... მეღირსა... ეპოვე...

გადარეულსავით მოეხვია.

— ხომ მხედავ, ხომ მხედავ, ფერიამ თვალები მიხილა.

— თვალები?

ცებომ რო შეჰხედა და სინამდვილეში დარწმუნდა, უეცრივ გაფითრდა, ცახცახმა აიტანა და მოცელილ ყანასავით დაეცა.

გაოცებული გულო დაემხო, მუხლზე მის თავი დაიყრდნო და ვიდრე ალერსს დაუწყებდა მის მოსაბრუნებლად, უცბად გაშეშდა, სანახაობამ შეჰზარა: მახინჯი, ყოვლად უსახური ცებოს სახე გულოს თვის საშინელებით შეყურებდა.

— ეს სად მოვსულვარ? იქნებ შემცდა?

შეძრწუნებით შესძახა გულომ. ამასობაში ცებოც გონს მოვიდა. წამოიწია. მიბნედილ თვალებით დააცქერდა, უყურა, უყურა და იმ დროს, როდესაც გულოს ტირილი წასკდა, თვითონაც გული ამოუჯდა და ნაწყვეტებით შეჰნიშნა ისეთის სიყვარულით, ისეთის განწირულებით, როგორც შემოდგომის მომლოდინე ზაფხულის ღამის ნეტარება ეთხოვება თვის საყვარელ ცას:

— მეც მაგისი მეშინოდა... გული სწორედ ამას მითხრობა... რაო, შეგძულდი?.. კარგი, წადი... წადი... ოღონდ ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ მაღირსე ბედნიერება, თუნდა იმითი, რომ ხელის კვრით ნუ მომიშორებ... მაკოცე და... სამუდამოდ დავშორდეთ კიდეც...

გაქვავებული გულო მხოლოდ ეხლა მოვიდა გონზე. მისი ხელები რომ კისერზე იგრძნო, უცბად წამოხტა, უდიერი ხელის კვრით თავიდან მოიშორა.

— არ შემიძლიან, არა... არა... ფერია მართალი იყო... მართალი... ჩამომეცალე... მე ვიცი თუ სად გაჰქრა იგი.

ხელსავით გაიჭრა, ცებოს კი უიმედობით მუხლი მოსწყდა და ძირს დაეცა.

VI

დიდხანს ეძებდა კეთილ ფერიას, მაგრამ მის ასავალ-დასავალი ველარ იპოვა. ფერდობები გადაჰლახა, მწვერვალიდან მწვერვალს სწვდებოდა, მაგრამ არ იქნა, ყოველი ცდა ამაო იყო. მიჰმართა სალამურს, მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა, გრძნებათა ცნაურებანი მისთვის ეხლა დაიხშო.

— სადა ხარ, სადა, წყეულო ფერიავ,—კვნესით შესძახა ბოლოს სასოწარკვეთილებით,—მოდი, მოდი, დამიბრუნე ჩემი საუნჯე, დამიბრუნე... შენმა ძღვენმა მომტაცა სულისა სული, მშვენიერების სამკაული ჩემი ცებო... დამიბრუნე ჩემი ცებო, დამიბრუნე, წყეულო ფერიავ... შენ კეთილი კი არა, ბოროტების სათავე ყოფილხარ...

გათენდა და ფერია მაინც არსად სჩანდა! წყაროს დააშტერდა. ამაოდ. მისი ჩუხჩუხი აღარ უხსნიდა საიდუმლოს. ვარდის ფოთოლთა ჩურჩულიც მისთვის უცნობი ხმაურობა იყო. განთიადს უმზერდა, მაგრამ მისი ვერცხლის ბორბალი არაფრად შეედრებოდა იმ ჰარმონიას, რასაც რომ წინად შეისმენდა ასეთ განცდის დროს. განაბივით ყური მიაპყრო ნიავის ქროლვას, იქნებ ამ ენაჭარტალას მაინც წამოსცდეს და საიდუმლო გამიმჟღავნოსო, მაგრამ ახლა უბრალო სისინის მეტი არა ესმოდა რა.

— რა მეშველება, რა..?

სასოწარკვეთილებით შეჰჩმუვლა მიდამოს. ქანც მოწყვეტილი მიეგდო ნაპრალის წვერთან და აქედან სივრცეს დაუწყო ყურება. ზღვად გაჭიმულმა ფირუზმა უფსკრულმა ცივი ღიმილით გადმოჰხედა. ახლა ასკილის ბუჩქს მიაშტერდა, უყურა, უყურა და უეცრივ წამოიწია.

— ჰო და რა იქნება?

წამოიძახა უცნაურად, თითქოს ნაწყვეტ ფიქრს რაღაც შინაარსი უნდა მისცესო.

— ჰო და რა იქნება? ის არ მოვა... არა?.. ნუ მოვა რა, განა მისი მოსვლა ასე რიგად საჭირო არის? ის **მაშინ** მეჭირვებოდა, ეხლა კი მეც კარგად მოვუვლი თავს...

ზედმეტი ფიქრი აღარ გაუგრძელებია. წასწვდა ასკილის ტოტს, მოსწყვიტა ეკალი და თვალებში ისე იძგერა, რომ ოდნავი დანანებითაც არ შეუხედნია განთიადის ძოწეული პორფირისათვის, რომელიც თვითეულ ამოწევაზე ათას ცნაურებათა სანახაობათ იშლებოდა.

დატორტმინდა, მაგრამ თავი მალე შეიკავა. კბილთა ხჭიალით ჩაიკლა უზომო ტკივილები. ორიოდ წუთით ცდა მოახდინა, როგორ მდგომარეობაში ვარო. სიხარულით სულ მიავიწყდა ტკივილები, როდესაც შეესმა, თუ წყარო როგორ განცვიფრებას გამოსთქვამდა აღელვებული ჩუხჩუხით. ყვავილები და ბუჩქებიც გაშტერებულები შეჰყურებდნენ.

— რას დაგიჭყეტიათ თვალები, ეს გულოა ვერა ჰხედავთ..?

ეუბნება გარემოს ნიავი.

— ოხ, რა კარგია, რა კარგია...

წამოიძახა ნეტარებით დამთვრალმა გულომ. სალამურს ხელი წაავლო. ჩაჰბერა თუ არა, ისე აჰკვნესდა, ისეთის ნეტარებით, ისეთის ლხენით, რომ გულოსაც ასეთი მომჯადოვებელი ხმები არსად ჰსმენია არასოდეს. მწუხრი აღტაცება, ნეტარების სიხარული ნაზი ჰანგის ყოლებით იქსელებოდა, ასე დაეშვა გულო ქვეით. გზა-გზა ძველებურად ყოველისფერი ესალმებოდა. შინ რო მივიდა, ზღრუბელზე შედგომისას ცებოს გოდება შეესმა.

— ცებო, სადხარ?

შესძახა შესვლისთანავე. ცებო შეჰკრთა. რომ იცნო, კვლავ თრთოლვამ აიტანა. სახეზე ხელი აიფარა.

— ნუ მოხვალ, ნუ... აკი წახველი... რად გინდივარ ასე მახინჯი... ნუ მოიწამლავ ტკბილ სიცოცხლეს... სხვა გააბედნიერე... სხვა მონახე...

— ცებო... შენ არ იცი... შენ არ იცი... საიდუმლო ავხსენი... აი შემხედე...

ცებომ რო თვალი შეავლო, ყრუდ დაიკვნესა.

— ეს რა გიქნია?

— რა? აი რა...

მოეხვია.

— მინდოდა, დაკარგული სიტურფე დამებრუნებინა და, აჰა, დავიბრუნე კიდეც...

ნაზად აკოცა.

— აი, ასე... ფერია როდის ტყუოდა... ეხლა ქვეყნის სიტურფე-სიკეკლუცე ამ სანახაობას ოდნავაც კი ვერ შეედრება...

დაწვრილებით მოუთხრო ფერიას ამბავი. ცებო კი ქვითინებდა. მისს მთრთოლვარე თავს გულზე იხუტებდა და დასისხლიანებულ თვალებზე აიაზმად მხურვალე ცრემლებს ასხურებდა...

დ. კასრაძე.

ლებიანად იქნა ახალმა კანონმა და ამან დააფიქრა ქართველი. მაგრამ ფიქრი საკმარისი არ იყო. ახალი ცხოვრება ფულს ითხოვდა, ქართველს კი ყოველისფერი მოეპოვებოდა ამის გარდა და ამიტომ იძულებული იყო ყოველ პირობიან თამასუქზე ხელი მოეწერა, ოღონდ დროებით საჭირო საქმე მოეგვარებინა და ყვითელი ლითონით ხელი მოენაცვლა. ეს იყო ქართველთა ჩაბოჭვის პირველი და უმწვავესი ხანა, ეს ის დრო იყო, როდესაც გირავნობამ იჩინა თავი და თამასუქებით მთელი სამთავროები ხურდავდებოდა და ნელ-ნელ სომეხთა ხელში გადადიოდა.

მარტო მამულების დაგირავება როდი იყო ჩვენი უბედურება, არა. ქართველთა ძველს ოჯახებში თაობითვე გადაცემულიყო ოქრო-ვერცხლეულის ნივთები. ბევრი საუცხოვო ხელოვნებისა იყო, განსაკუთრებული ჩუქურთმებით. ფულის საჭიროებამ და თამასუქობამ ეს ნივთებიც გამოგვაცალა ხელიდან და მალე, სულ მალე დადგა ის დრო, რომ სანთლით საძებარიც კი შეიქნა. ისტორიულ ნივთთა და განძთა დაკარგვა ამ თამასუქების შემოღებისთანავე დაიწყო. სომეხ ვაჭარსაც ეს უნდოდა: ქისა მოხსნა, სავაჭროს კარი გაუღო და გამვლელ-გამომვლელ ქართველს ეპატიჟებოდა: მობრძანდით, ნისიათ წაიღეთ, რაც გნებავთ მიიღეთ, ოღონდ თამასუქები დამიტოვეთ, ან ნივთები დამაგირავებინეთ, სარგებელს არ გთხოვთ, თავნშიაც კარგა დაგუაბულდებითო. ქართველიც იჯერებდა მის სიტყვას. მას ვერ შეეგნო საფრთხე, არ იცოდა მამულის ფასი და ხშირად რაღაცა ასიოდე თუმანში ათასისა და ათიათასი თუმნის ღირებული უკვდავება მამული გადაუგდია. ხშირად ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ვაჭრიდან ფულად კი არ მიჰქონდა, არამედ ამ თანხის თანახმად უნდა ვაჭრისგან სავაჭრო გამოეტანა, რაც მას სჭირდებოდა. როცა აღნიშნული ჯამი შესრულდებოდა, ნისიას აანგარიშებინებდა, დავთრები თვითონვე ჰქონდა ხელში, თვითონვე სწერდა ყოველისფერს და დიდი ღვთისწყალობა იქნებოდა, თუ იმდენს მაინც ისვინდისებდა, რომ მანათში სამი და ხუთი ხშირად ათი მანეთი არ გადაეხდევინებინა ბედოვლათ ქართველისთვის.

ასე და ამნაირად, დუქნის ვალებმა ჩანთქა ქართველთა საუკეთესო მამულები, ასე და ამნაირად დუქნის ვალებმა შეჰქმნა შეძლებულ ქართველთა დავალიანების არტახები, ასიოდ მანეთის ნისია ნთქავდა მთელს სამთავროს, ასიოდ მანეთის ნისია ანადგურებდა მამა-პაპეულ დოვლათს. დაიყიდა სოლოლაკის ბაღები, ორთაჭალისა, ხელიდან გამოგვეცალა გარეთა უბნის ბაღები, სადაც ორბელიანთა სახლები იყო, ეს უკვდავება მამულები სულ ჩალის ფასად ჩაიგდეს სომეხმა ჩარჩებმა, ასევე გაიყიდა დღევანდელ გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ მამულები, სადაც უწინ ერთი სომხის სულიც არ იყო. სომეხ ჩარჩების თამასუქები ძალაში იყო, მძვინვარე მისი კლანჭები ეზიდებოდა და ეზიდებოდა თბილისის ყოველ კუთხეს, და არა თუ კუთხეს, მის სულსა და გულს.

ზ. ჭიჭინაძე.

პროვინციის ქრონიკა

ბათომი.

ბათომის ლომბარდის გამგედ ხმის უმეტესობით (21 11 წინააღმდეგ) არჩეულ იქმნა ბათომის გაზეთის „ბატუმსკი დენის“ რედაქტორი გრიგოლ სტანისლავის ძე სოლოროვი. ლომბარდის ყოფილი გამგე, პ. გამყრელიძე, გაშავებულ იქმნა (12 თეთრი და 20 შავი).

სოფ. ახალგორი (ქსნის ხეობა).

აქ დაარსდა კომიტეტი, რომელშიაც შედიან ადგილობრივი მოსამართლე-შუამავალი, მამასახლისები, მღვდლები და სხვანი; ისინი აგროვებენ შემოწირულებას ფულით და ჭირნახულით ომისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ს. გუბი (ქუთ. მაზრა).

როგორც ყველა სხვა სოფლებს, ამ სოფელსაც დაატყდა უბედურება. ხალხი აქაც დამშეულია და დიდს გაჭირვებას განიცდის. სწავლა-განათლების მხრით ეს სოფელიც არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული.

აქ არსებობს აკაკის სახელობაზე წიგნთსაცავ-სამკითხველო. ეს სამკითხველო რამოდენიმედ დაშორებულია მეორე სოფელისაგან, რაც ხელს უშლის გლეხკაცობას ჟურნალ-გაზეთებით ისარგებლონ.

ქუთაისი.

კვირას, ორ ნოემბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში უნდა მოხდეს „კოოპერაციის“ საზოგადოების შეერთებული თათბირი.

— ქუთაისის პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მირიან ბასილაია.

— პარკის ფასმა იმერეთისკენ შესამჩნევად აიწია, ფუთი ხმელი პარკი 63 მანეთად იყიდება.

— ორ ნოემბრისთვის ქუთაისის მაზრის სამხედრო სამართველოში მოხდება შემოწმება „წითელ ბილეთიან“ მოლაშქრეებისა, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ სამხედრო სამსახურში 1906, 1907, 1908 წლებში.

გორი.

ფქვილის დიდი ნაკლულევანებაა. ქალაქის თავმა ამის გამო დეპეშით ქუთაისის ქალაქის თავს ფქვილი დაესესხა და საგანგებო კაცი გაგზავნა საქმის მოსაწესრიგებლად.

კახეთი.

ღვინობისთვის 18-ს კახეთში შესდგა საზოგადო კრება ველის ციხის, ახალშენის, ჩუმლაყის და მუკუზანის მომხმარებელ ამხანაგობისა, რომელთაც დაადგინეს რაც შეიძლება ჩქარა გახსნან სავაჭრო დუქანი. კრებამ აირჩია გამგეობა, სადაც შედიან ვასო ტერმოსესოვი, სოსო მაჭავარიანი და იოსებ ბერიაშვილი. ხალხი ძლიერ იმედოვნებს, რომ ასეთი დუქანი იხსნის მათ ჩარჩ-ვაჭრებისაგან.

ფოთი.

საღამოს 28 ოქტომბერს, ცერკვენი ქუჩაზე ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ ადგილობრივ მოვაჭრე ვას. თოფურიას, როდესაც იგი მაღაზიიდან შინ ბრუნდებოდა თავის შვილით. თოფურიას შვილმა პეტრემაც თავის მხრით ესროლა რევოლვერი. მამა მძიმედ დაიჭრა თავდამსხმელების ტყვიით. თავდასხმის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ბოროტმოქმედებს ორი კვირის წინად უსახელო წერილით უთხოვნიათ თოფურიასთვის 10,000 მან. და რაკი მას თავის დროს ვერ გაუგზავნია, შურის საძიებლად თავს დასხმიან.

სოფ. კირცხი.

ადგილობრივ მცხოვრებს დ. ჭილაიას 30 ღვინობისთვეს მტრობით სახლი დაუწვეს. ზარალი 280 მან. უდრის.

პროვინცია

სოფ. ოძისი (დუშეთის მაზრა). ამ სოფელში ხომ კარგ მოსავლის დროსაც არ მოდიოდა სამყოფი ჭინახული მცხოვრებთათვის და წრეულს ხომ ათასმა უბედურობამ ეს ცოტი მოსავალი თითქმის გაანახევრა. ეხლავე ზოგ გლეხს არც საკვები და არც სათესლე ხორბალი აღარ მოეპოვება, ამიტომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოწერილი იქმნა ერთი ვაგონი ხორბალი. ყურძნ მოსავალი წრეულს ნაკლები იყო, მხოლოდ ფასი შარშანდელზედ ორჯელ მეტი ადევს ტკბილს და ბაჭარს.

ამ სოფელში არსებულ სახელოსნო სასწავლებელი დაასრულა 6 მოწაფემ, რომელნიც სულ ქართველები არიან.

ჩარჩ ვაჭრების თავ-გასულობას საზღვარი არ აქვს; გირვანქა ნავთი ფასობს 10 კაპ., შაქარი—39 კ. გირვანქა. თვით კი სცდილობენ გლეხის ნაწარმოებნი ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში.

სოფ. ტობანიერი (ქუთ. მაზ.)

ტობანიერი შეადგენს იმერეთის ერთ უმდიდრეს და უპოხიერეს პროვინციის საჩინო ნაწილს. რიონისა და სხვა მდინარეების მეოხებით ეს მხარე დროგამოშვებით ისილება და პოხიერდება. ამის წყალობით ეს კუთხე მუდამ კარგ მოსავალს იძლეოდა. არც კი იყო საჭირო ხელის განძრევა, ისე თავის-თავად მოდიოდა ვენახი, ხეხილი თუ სიმინდი. საჭირო იყო მხოლოდ ერთხელ მიგერგოთ ვაზი ხის ძირში ან დაგემყნათ რაიმე ხეხილი და შემდეგ რთველამდის არ სჭიროდა თქვენი მიხედვა. ადამიანის მაგივრობას თვით ბუნება ასრულებდა. მაგრამ შემდეგ დრონი იცვალენ. უწინ თუ ბუნება ხელს უწყობდა ტობანიერლებს არსებობისათვის ბრძოლაში, დღეს თითქმის მათ წინააღმდეგ გამოდის. უწინ თუ ვაზს ხის ძირში მირგვის მეტი არა სჭიროდა-რა, ეხლა ყოველ დღე ბაღში უნდა იყვეთ, თუ გნებავთ რაიმე ნაყოფი მიიღოთ. ხეხილსაც კულტურულათ დამუშავება დასჭირდა, ყანასაც, ბოსტანსაც. თუ უწინ მიწიდგან მარტო სიმინდის მოსავლით კმაყოფილდებოდნენ, დღეს მარტო ეს არ აკმაყოფილებს აქაურებს და შეუდგნენ თხილის, ბამბის და დაფნის მოშენებასაც. ერთი სიტყვით ტობანიერლებიც მიხვდნენ, რომ გულზედ ხელ-დაკრეფილი ყოფნა და ბუნების გულკეთილობის შეჩვევა მათ არ გამოადგებოდათ და ამიტომ ერთი ხანია შეუდგნენ თავიანთ მეურნეობის რაციონალად მოწყობის საქმეს.

ბაზრის სიშორის და რიონზედ უხიდობის გამო საჭირო იყო მათთვის ადგილობრივად ეშოვათ ბაზარი, რომ ჩარჩებს ჩალის ფასად არ ჩავარდნოდათ ხელში მათი ნაწარმოები. ტობანიერლებმა სწორედ ამით დაიწყეს. მიმართეს სათანადო მთავრობას, მისგან ნებართვა აიღეს და დაახლოვებით ამ 8—9 წლ. წინედ საზოგადოების შუაგულში, სოფ. შუამთაში დაარსეს იარმარკა, სადაც კვირა დღეობით იმართება ბაზრობა და სოფლის პირობაზედ გვარიანი აღებ-მიცემობაც სწარმოებს.

უშოვეს რა ბაზარი თავიანთ ნაწარმოებს და ამით აშორდნენ რა რამოდენიმეთ ჩარჩების კლანჭებს, ეხლა საჭირო შეიქმნა მათთვის მეურნეობის კულტურულ საწარმოებლად ფული, კაპიტალი. საჭირო შეიქმნა იაფი სესხის შოვნა, თორემ ისევ ჩარჩ-მევახშეებს ჩაუცვივდებოდნენ ხელში. ესეც აისრულეს 1912 წლ. 6 აგვისტოს საკრედიტო ამხანაგობის გახსნით, რომელსაც ამ სამი წლის განმავლობაში ორმოცი ათასი მანეთის იაფი სესხი მიუწოდებია თავისი ამხანაგებისათვის.

მოაგვარეს რა იაფი სესხის საქმე, ეხლა საჭიროდ სცნეს ისე მოეწყოთ საქმე, რომ სრულიად მოეშორებიათ თავიდგან შუამავალი—ვაჭრები როგორც თავიანთ ნაწარმოების გასაღებაში, აგრედვე საჭირო ნივთების შეძენაშიც. ამასაც მიაღწიეს მით, რომ სათანადო მთავრობის ნებართვით 1914 წ. 4 დეკემბერს დაიწყო მოქმედება ახლად დაარსებულმა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობამ **„საჩინოს“** სახელწოდებით. მიზანი ხსენებული ამხანაგობისა ის არის, რომ არა თუ მარტო ტობანიერს, არამედ მთელ საჩინოს პროვინციას გაუწიოს სამსახური ადგილობრივი ნაწარმოების გასაღებით. ხსენებული პროვინცია მდიდარია ბამბით, პარკით, თხილით, ხილით, დაფნით, ხე-ტყით, ღვინით და სხვ. და ყოველივე ესენი ჩალის ფასად უვარდება ხელში ჩარჩ-ვაჭრებს, რადგანაც მწარმოებელი მოკლებული იყო საშუალებას პირდაპირ მომხმარებელისთვის მიეწოდებია თავის ნაწარმოები. ხსენებული ამხანაგობის დაარსებით კი ამის საშუალებაც ეძლევათ აქაურებს.

სამეურნეო ამხანაგობა „საჩინო“ გაიხსნა, როგორც ზემოდ ვსთქვით, 1914 წ. 4 დეკემბერს. გახსნისას წევრთა რიცხვი უდრიდა 23-ს, დღეს კი 121-ს. ამათში პაის მთელი ღირებულება აქვს გადახდილი მხოლოდ 42; 51 მხოლოდ ნაწილი და 28 კი სრულიად არაფერი.

წლევანდელ სეზონში ამხანაგობის მოქმედება გამოიხატა იმაში, რომ შეიძინა ამხანაგებიდან და გარეშეებიდგანაც 1,720 ფ. ბამბა, ღირებული 5,877 მ. 94 კ., რომელიც გაასაღა სახალხო ბანკის საშუალებით. ამ ოპერაციამ დატოვა მოგება 478 მ. 95 კ. შეიძინა ერთი აქცია მოსკოვის სახალხო ბანკისა. შეიძინა შაბიამანი, აბრეშუმის თესლი თბილისის სააბრეშუმო სადგურიდგან, იაფ-ფასიანი სიმინდი. 20 აგვისტოს ამა წლისა გახსნა სამხანაგო მაღაზია და ფურნე ნაქირავებ შენობაში. საშუალო დღიური ვაჭრობა უდრის 40 მანეთს ჯერ-ჯერობით. შედარებით სხვა მოვაჭრეებთან საქონელი იყიდება მაღაზიაში 10—15 პროცენტით ნაკლებ, რითაც თანდათან იხვეჭს მომხმარებელთა სიმპატიას.

ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება სრულიად უკაპეიკოდ და სანაქებოდ გამგეობისა უნდა მოვიხსენიოთ, რომ მან (გამ.) შესძლო რამოდენიმეთ ამ ფინანსიური კრიზისიდგან გამოსვლა და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანა ხსენებული ამხანაგობისა, რაც იმის თავდებია, რომ მომავალში უკეთესად განავითარებენ მის (ამხ.) მდგომარეობას.

ამხანაგობის ნორმალ განვითარებას ძლიერ უშლის ხელს საწარმოვო თანხის სიცოტავის გარდა შესაფერი საკუთარი შენობის უქონლობაც, რაც იყო იმის მიზეზი, რომ წელს ამხანაგობამ პარკი ვერ იყიდა. ამხანაგობის გამგეობას სურდა ზემოხსენებულ საბაზრო ადგილში აეღო საბაზრო ამხანაგობიდგან იჯარით მიწა და უნდოდა თანდათან ცოტ-ცოტათი შესდგომოდა შენობისათვის მზადებას. ასეთი წინადადებით მიმართეს ბაზრის დეპუტატს (რომლის ვალდებულებასაც შეადგენს, სხვათა შორის, მიწის იჯარით გაცემა) სოფლის მწერალს „მოსე“ ბაქურაძეს. ამ უკანასკნელმა მიწა არ მისცა და აღუთქვა, რომ თვით საზოგადოებას აეშენებიებ საჭირო შენობასო. გამგეობამაც გულუბრყვილოდ დაუჯერა მას, თუმცაღა გააფრთხილეს არ ენდობოდა ნახსენებ მწერლის ლათაიებს. მოიწვიეს ყრილობა, რომელსაც გაეშმარტეს საქმის ვითარება. ყრილობამ დაადგინა აეშენებია საჭირო შესაფერისი შენობა. დეპ. ბაქურაძემ გამგეობას წინადადება მისცა მოეწვიათ ტეხნიკი, გაეშინჯათ მიწის ნიადაგი, შეედგინათ სმეტა და პლანი, რომელიც დასამტკიცებლად ისევ სოფლის ყრილობას უნდა წარდგენოდა. ყველა ეს გამგეობამაც შეასრულა, რაიცა, დაახლოვებით, ათ თუმნამდის დაუჯდა. მოაწვევია მამასახლის ყრილობა პლანის და სმეტის მისაღებად, ყრილობაზედ ბაქურაძემ არ თუ თვითონ შეასრულა თავისი სიტყვა, არამედ ხალხსაც დაუშალა და გარდაათქმევია წინაყრილობის დადგენილობა, რომლის ძალით თვით საზოგადოება თავისთავს მოვალედ ხდიდა შენობის აგებაში. ამნაირად ამ ისედაც ღარიბ ამხანაგობასაც გაკრა თავისი ბასრი ბრჭყალები თავის მოღვაწეობით კარგად ჩვენში ცნობილმა მწერალმა ბაქურაძემ და თავისი უღირსი მოქმედებით, საზოგადოება ზარალში შეიყვანა. ამის შემდეგ რა სინდისით უნდა დარჩეს ბ-ნი ბაქურაძე ამხანაგობის წევრად?

წესდების მე-19 მუხლის ძალით ის ამხანაგი, რომელიც ამხანაგობას ზარალს აძლევს, უნდა გამოირიცხოს ამხანაგობიდან და ამიტომ საჭიროა თვით მომავალმა ამხანაგობის კრებამ, რომელიც, როგორც გადმოგვეცენ, მოკლე დროში უნდა მოხდეს, მსჯელობა იქონიოს ბაქურაძის შესახებ და გამორიცხოს ამხანაგობიდან.

დასასრულ, ვუსურვებთ ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას თავისი მიზნის განხორციელებაში და ტობანიერების იმედი გამართლებიოს, რათაც თავისი წვლილი შეტანილი ექნება აქაურების ცხოვრების გაუმჯობესებაში.

სანკანიძე.

თეატრი და ხელოვნება

ილიას საღამო.

27 ოქტომბერს ილიას საღამოების მართვა ქართველმა საზოგადოებამ დღესასწაულად მიიჩნია. ამ დღეს საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში დიდი ილიას აღსანიშნავად, ასეთ საღამოებს ყოველთვის და ყველგან წერა-კითხვის საზოგადოება მართავდა მაგრამ წელს ქუთაისში ხსენებულმა საზოგადოებამ თავის მიზანს უღალატა და საღამოს მოწყობა მიანდო ქართველ მსახიობთა ამხანაგობას.

პირველად მოხსენება ილიას შესახებ წაიკითხა ბ. ალ. წერეთელმა. სცენაზე ფარდის ახდისას გამოჩნდა მშვენიერი დეკორაცია მამადავითის მთა. ილიას ძეგლი რომელზედაც ჩამოკიდებული იყო ილიას დიდი სურათი სამგლოვიარო ჩარჩოში. გვერდით მოსჩანდა ავრედვე დიმიტრი ყიფიანის ძეგლი. ბ. წერეთლის მოხსენება ახალს არასფერს შეიცავდა. მან მოკლეთ დაახასიათა ილია, როგორც პოეტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. მომხსენებელი მოუმზადებელი იყო.

მოხსენების შემდეგ ქართულმა დასმა წარმოადგინა „გლახის ნაამბობიდან“ და „კაცია ადამიანი“?-დან თითო სურათი. მსახიობებმა სურათები საკმაოთ კარგად შეასრულეს.

სალიტერატურო განყოფილებაში თავიანთი ნაწერები წაიკითხეს ია ეკალაძემ, გ. ტაბიძემ, დ. მესხმა, პ. იაშვილმა, ი. ზარდალიშვილმა და ილიას ლექსები კი მსახიობმა ნ. გვარაძემ. სალიტერატურო განყოფილება დაამგვირგვინა ბ-მა ია ეკალაძემ თავის მოკლე მაგრამ მხატვრული და გრძნობიერი სიტყვით მან მოიხსენია თუ როგორ ვასრულებთ დიდი მწერლის მცნებას და აღნიშნა რომ ამ დღეს ჩვენ უნდა შევხვდეთ დუმილით და გლოვით.

დასასრულ საზოგადოებას აჩვენეს ცოცხალი სურათი ილია თავის გმირთა შორის. ეს უკანასკნელი სურათიც სუსტი გამოდგა. საღამოზე სხვათა შორის მოწვეული იყო ქართული გიმნაზიის მოწაფეთა ორკესტრი. მოწაფეები სხვა და სხვა ჰანგებს საუცხოვოდ ასრულებდნენ. საღამოზე უკეთესი შთაბეჭდილება საზოგადოებაზე მუსიკამ იქონია.

საღამოს სამწუხაროდ ძლიერ ცოტა საზოგადოება დაესწრო. არსად სჩანდა აგრედვე მოწაფეებიც.

ნამი.

დეპეშები

სტოკჰოლმი, 29 ოქტომბერი. მეცნიერებათა აკადემიამ 1914 წლის ნობელის პრემია ფიზიკურ მეცნიერებათათვის გერმანელ ფონ-ლაუეს მიუსაჯა. ფონ-ლაუე მაინის ფრანკ-ფურტიდან არის. ხიმიურ მეცნიერების პრემია გავარდის პროფესორს მასსაჩუსეტიდან (გვარი არ არის დასახელებული). 1915 წლის პრემიები ხვალ დაერიგება.

კოპენჰაგენი, 29 ოქტომბერი. ბერლინიდან იტყობინებიან: ლიუქსენბურგის პარლამენტი დიდ ჰერცოგინისგან დათხოვნილ იქმნა, რადგანაც მემარცხენე პარტიებმა მღელვარე სცენები გამართეს კრებაზე.

ადესა, 30 ოქტომბერი. ზინგერის მაღაზიებს ვაჭრობის ნება მისცეს.

ათინა, 29 ოქტომბერი. ახალი არჩევნები პარლამენტში დანიშნულია 6 დეკემბერს.

რომი, 29 ოქტომბერი. ყოფილი სამხედრო მინისტრი ბერტოლო „ჯიორნალე-დიტალიაში“ რჩევას იძლევა, რომ იტალია სერბიას მიეხმაროს და ამტკიცებს, რომ მოკავშირეთა გამარჯვება უზრუნველყოფილიაო.

ლონდონი, 29 ოქტომბერი. თემთა პალა[illegible] იმ შეკითხვისა, [illegible] ინგლისის ელჩი მონაწილეობ[illegible] მოლაპარაკებაში რომლითაც მიმართ რუსეთის ელჩმა სპარსეთის მთავრობას ოსმალეთთან და გერმანიასთან კავშირის შეკვრის გამო. გრეიმ სთქვა, რომ სპარსეთის მთავრობა მხოლოდ ერთმა რუსეთის ელჩმა გააფრთხილა, მაგრამ ინგლისის და რუსეთის მთავრობები სპარსეთში შეთანხმებულად მოქმედობენ. ყველასთვის ნათელია, სთქვა გრეიმ, რომ სპარსეთის მთავრობამ მოკავშირეების მტრებთან შეთანხმებით, სპარსეთი განსაცდელში ჩააგდო.

ასკვიტმა განაცხადა, რომ კიტჩენერის სხვაგან ყოფნის დროს სამხედრო კომიტეტი სამინისტროსი ასკვიტის, ბალფურის, ლოიდჯორჯის, ბონარლოუსა და მაკკენნისაგან შესდგება. მათ დახმარებას აღმოუჩენენ სპეციალისტები, საზღვაო, სამხედრო და დიპლომატიურ საქმეთა. ასკვიტმა შემდეგ გადაჭრით განაცხადა, რომ ლორდ-კიტჩენერს არც მისთვის, არც მტკისთვის არას დროს სამსახურიდან გასვლა არ განუცხადებია და დაუმატა, რომ კიტჩენერს არასოდეს არ გამოუთქვამს სურვილიც კი გადადგომისა.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან.	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან.	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საავ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ® წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის.	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლოხის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზვერიშვილები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.